# საქართველოს ქალი

645
1997

1997

1-2



№ 64
(1-12)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქალებზე, რომლებიც სასაზღვრო ჯარებში მსახურობენ წაიკითხეთ ნომერში:**


## მუდმივ ძიებაში

გაეცნობით ქ-ნ მანანა ხვედელიძეს, რომლის მონაწილეობით მომზადდა კანონპროექტები სახელმწიფო საზღვრის შესახებ

გვ. 4

## ეს ძლიერი და უტეხი სული

აფხაზეთში ომის საშინელების თვითმხილველი ჟურნალისტი გაზეთ „მესაზღვრის“ რედაქციაში

გვ. 5

## მესაზღვრეთა მშვენება და სიამაყე

გვ. 6-7

## საზღვარს ჯანმრთელი ბიჭები სჭირდება

და ექიმები ზრუნვას არ აკლებენ

გვ. 8

## ოფიცერი ქალის ტვირთი

კაპიტანი ნანა კეთილაძე აფხაზეთში იბრძოდა, დღეს სასაზღვრო ჯარებში დამკვიდრდა

გვ. 9


## ნომერშია აგრეთვე:

კონკურსში გამარჯვებული მოთხრობა „საქორწინო ბეჭედი“.

**ნაზი კილასონიას მემუარების დასასრული**

**დალილა ბედიანიძის** ლექსები

მასალები რუბრიკით: ხელოვნება, ქალი და საერთაშორისო ურთიერთობები, ჯანმრთელობა, სასარგებლო რჩევები, კულინარია და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოგოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — მაიორი მანანა ხვედელიძე; ნ. კანდელაკის ნახატი; მეოთხეზე — ზურაბ დათუაშვილის ფოტოგრაფიკა.

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia

# ვით ფოლადის ფარები

„მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ,
ვით ფოლადის ფარები
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ
საქართველოს ქალები“.

არ გასულა და არც გაუვა ყავლი ამ მშვენიერ სტრიქონებს.

ამის დასტური „საქართველოს ქალის“ დღევანდელი ნომერია, რომელსაც რედაქცია სიყვარულით და მოწიწებით უძღვნის ქართველ მესაზღვრე ქალებს.

ეს მოკრძალებული წერილი, რა თქმა უნდა, სრულად ვერ გვაგრძნობინებს მათი სულის სიმაღლეს, კდემამოსილი ქართველი ქალებისა, რომლებიც სამშობლოს დაძახილზე მზად არიან იარაღით ხელში ჩადგნენ იქ, სადაც ქვეყანას სჭირდება, ჩადგნენ ისე, ვით ფოლადის ფარები.

ალბათ, ღვთის წყალობაა ჩვენზე, რომ ივერიის მიწაზე თინა წავკისელს, მაია წყნეთელს, მხოლობითში აღარ მოვიხსენიებთ. მათი სახელები ათეულებია. ამის დასტური დღევანდელი ჩვენი ნომერიცაა.

მესაზღვრე ქალებზე დროდადრო კვლავ გაცნობებთ.

მანამდე კი, ქართველო დედებო, თქვენს პირმშოებს აკვანში ხშირად უმღერეთ:

„მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
სამშობლოსთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!“

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში, კოსტავას ქ. № 14, V სართული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ასათიანი

# საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი



ძველად თურმე, როცა მტრების
უთვალავი ჯარები
მოდიოდნენ, რომ გაეღოთ
საქართველოს კარები,
მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ,
ვით ფოლადის ფარები,
და მტრებს მათთან ერთად
სცემდნენ საქართველოს
ქალები.
ისე მტკიცე იყვნენ თურმე,
ვით მეტეხის კედელი,
გმირი თამარ ვაშლოვნელი და
მაია წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს
აფრქვევდა, მტერი თრთოდა
ვერანი,
საქართველოს ცის ფერს
ჰგავდა ფერი მათი მერანის.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ,
მარად დაუზრახველნი, —
საქართველო იყო მათი
საყვარელი სახელი.
ბრძოლის ველზე მიდიოდნენ
რაინდული ოცნებით,
მიდიოდნენ და მიჰქონდათ
ჩალისფერი დროშები,
ბევრჯერ სისხლით შეღებილა
მათი ავგაროზები.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ,
თუნდ სამარის კარამდის
ოსმალეთის მიწა იყო, თუ
მინდორი მარაბდის, —
საქართველო იყო მათი
საყვარელი მარადის.
სადაც უნდა აღემართათ
სატევარი და გორდა.
ვაჟკაცურად მიიწევდნენ,
ვაჟკაცურად გაჰქონდათ —
სპარსეთში თუ დაღესტანში,
კრწანისთან თუ შამქორთან,
საქართველოს ერთი მუჭა
ცხელი მიწა თან ჰქონდათ.
სიკვდილის წინ რუსთაველის
შაირების ძახილით
მიწას გულში ჩაიკრავდა
ქართლელი თუ კახელი, —
საქართველო იყო მათი
საოცნებო სახელი.
შვილებს ომში აგზავნიდნენ
წარბშეკრული დედები,
აგზავნიდნენ, აბარებდნენ
დედურ დაიმედებით:
თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ,
არ დაიჭრათ მკერდები,
ხელმეორედ ნუ გენახოთ
საქართველოს ქედები!
ისე მტკიცე იყვნენ თურმე,
ვით მეტეხის კედელი,
გმირი თინა წავკისელი და
მაია წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს
აფრქვევდა, მტერი თრთოდა
ვერანი,
საქართველოს ცის ფერს
ჰგავდა ფერი მათი
მერანის.
მამულისთვის დაიღუპნენ
ვაჟკაცობის მსახველნი,
საქართველო იყო მათი
უწმინდესი სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ლომი ბრჭყალთაგან და საცნაურ არს თამარ საქმეთაგან“

## საქართველოს საზღვრები თამარის მეფობის დროს





საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ერთიანი ფეოდალური მონარქიის პერიოდს. მშობლიური ისტორიის ზემოაღნიშნულ პერიოდში დავით IV აღმაშენებელი და თამარი გამორჩეული სახელებია. დავითმა ძლევამოსილად დაასრულა საქართველოს სამეფოს მშენებლობა, დიდმა თამარმა შეინარჩუნა და გააფართოვა სამეფოს საზღვრები. სწორედ ამიტომაც ამ ორ დიდ მეფეს საგანგებო ადგილი უკავია ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. იმ დიდი გამარჯვებებისა და წარმატებების გამო, რომელსაც ქვეყანამ მიაღწია მათი მეფობის პერიოდში, დავითისა და თამარის ეპოქა კი ოქროს ხანად ითვლება ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მეფე თამარი განსაკუთრებული ბრწყინვალებით ჩანს საქართველოს ისტორიაში. თამარის ნათელმა პიროვნებამ, მისმა ძლევამოსილმა მეფობამ, წინდახედულმა პოლიტიკამ და გამჭრიახობამ მძლავრი იმპულსი მისცა ქვეყნის შემდგომ გაძლიერებას, ქართული კულტურის განვითარებას, რის გამოც ხალხის განუზომელი სიყვარული და აღტაცებული ქებათაქება დაიმსახურა. ქართულ ფოლკლორში უხვადაა მეფე თამარისადმი მიძღვნილი ლექსები: „თამარ ქალი, ქვეყნის თვალი, მზისა დარი“, ასე ამკობენ თამარს. მისი მეფობის პერიოდში ქართულმა სახელმწიფომ ძლიერების ზენიტს მიაღწია, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს ტერიტორია. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“ საგანგებოდ მიუთითებდა, რომ „განსაკუთრებით XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, საქართველოს მთელი ამიერი კავკასიაც კი ეკუთვნოდა“. (ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე) პროფ. ლისტი ისტორიული რარიტეტები.

საქართველოს საზღვრების შემდგომი გაფართოებისა და დაცვის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შამქორისა და ბასიანის გამარჯვებებს. დიდი თამარის ამ გამარჯვებების შედეგად საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. თამარ მეფის ინიციატივით დაუძლურებული ბიზანტიის იმპერიის მეზობლად საფუძველი ჩაეყარა „ტრაპიზონის იმპერიას“, სადაც ქართველმა მეფემ თავისი ნათესავი, ბიზანტიის იმპერატორი ტახტიდან გადაგდებული კომნენოსთა სახლის წარმომადგენელი ალექსი კომნენი გაამეფა. ტრაპიზონის სამეფოს დაარსება ჯვაროსანთა წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაც იყო და სელჩუკთაგან საზღვრის უზრუნველყოფასაც ისახავდა მიზნად. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული გავლენა ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიელ მონათესავე და მეზობელ ხალხებზე. XII საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს მოსაზღვრე იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს ყმადნაფიცი იყვნენ და პოლიტიკურ გავლენასთან ერთად საქართველოს დიდ კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ. საქართველოს სამეფო თამარის დროს უზარმაზარი სახელმწიფო იყო, რომლის ტერიტორია, ფაქტობრივად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული.

როგორც ძართებულად მიუთითებს აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აღნიშნულ პერიოდში „საქართველო ვრცელი და მრავალეროვნული სახელმწიფოა, რომელშიც საკუთრივ ქართული ტერიტორიების გარდა, სხვა მიწებიც შედიოდა და არაქართული მოსახლეობაც მრავლად იყო“

ქართველი მეფის ტიტულატურა მკაფიოდ და კონკრეტულად მიუთითებს ქვეყნის საზღვრების არსზეც. მასში ქართველი მეფის მფლობელობაში მყოფი ქვეყნებია ჩამოთვლილი: აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა (ტაშირ-ბორაკერტი), შარვანშა (შარვანი) და შაჰანშა (შირაკის სამეფო). როგორც ვხედავთ, აქ შვიდი სამეფოა ჩამოთვლილი, რომელიც მეფე თამარის გამგებლობაში შედიოდა. თამარის დროის საქართველო უზარმაზარ სივრცეზე იყო გადაჭიმული. სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვარი ჟამთა აღმწერლის ცნობით ჩალან-ურუნზე ანუ თეთრწყლებზე გადიოდა. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს: „წარვიდა ყაენი ქვეყნად შარვანშარა საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა რომელსა უწოდიან ჩალანუსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი“ (ქართლის ცხოვრება, II, თბ. 1959, გვ. 251). თეთრი წყლების აღმოსავლეთით საქართველოს ყმადნაფიცი შირვანი მდებარეობდა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა. თამარის ზეობის დროს „იდგა დიდი იმპერია ნიკოფსიითგან დარუბანდამდის (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრეთით). კვლავ უფრო გაზრდილიყო და გაშლილიყო ერთიანი სახელმწიფო კავკასიელთა. მასში შედიოდნენ: საკუთრივ საქართველო მისი საერისთავოებით... სომხეთი: ანისი, დვინი, ბაჯნისი, სივნიეთი, ხაჩინი (არწახი). შირვანი: დარუბანდი, ჩრდილოეთი კავკასია: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, ლუნძეთ-ლეკეთი. პროტექტორატები, ვასალები, მოხარკენი: ტრაპიზუნტის სამეფო, კარნუ-ქალაქის საამირო, ეზინკის საამირო, შაჰარმენთა სასულტნო, ადარბადაგანი, განძის სასულტნო, იჯდა თამარი ერთიანი კავკასიური იმპერიის ტახტზე“ (ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, I, თბ., 1982, გვ. 530).

საქართველოს მეფე ბაგრატ III „მეფედ“, აფხაზთა მეფედ და კურაპალატად“ ან კიდევ „მეფედ მეფედ“ იწოდებოდა, თამარი აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანთა და შაჰანშთა და ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელის“ ტიტულს ატარებდა. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III,. XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოსთან დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმით იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III).

დიდმა თამარმა წარმატებით განაგრძო დიდი დავით აღმაშენებლის საქმეები და ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად მნიშვნელოვნად გააფართოვა სამეფოს საზღვრები. მისი საარაკო საქმენი ჰქონდა მხედველობაში ბასილი ეზოსმოძღვარს, რომელმაც შემდეგი სიტყვები უძღვნა დიდ მეფეს: „გარნა ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან“.

**გელა ხუციშვილი,**
მაიორი;
**გურამ შენგელია,**
დოცენტი.

# მუდმივ ძიებაში

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით**

**სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და სასაზღვრო სამსახურის სრულყოფის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ქვეგანყოფილების უფროსი, მაიორი მანანა ხვედელიძე დაჯილდოვდა ღირსების მედლით.**



მანანა ხვედელიძე



**მანანა** ხვედელიძე — ამ მუდამ მოფუსფუსე, ღიმილიან ქალს განსაკუთრებით აფასებენ და პატივს სცემენ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში. იგი აქ სახელმწიფო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობის ქვეგანყოფილების უფროსად მსახურობს.

მაიორი მანანა ხვედელიძე — იგი ყველგანაა, უშიშროების საბჭოსა თუ პარლამენტში, მეცნიერებათა აკადემიასა თუ სასწავლო ინსტიტუტებში, მას არ ეზარება მოიაროს სვანეთი და ზღვისპირეთი, რათა საკუთარი თვალით იხილოს, თუ როგორ ცხოვრობენ მესაზღვრეები, გაიგოს, რა უჭირთ და ულხინთ მათ.

ბევრ კარგს გეტყვიან მანანა ხვედელიძეზე ისინი, ვინც მას იცნობს, ვისაც ამ ენერგიულ ქალბატონთან უხდება სამსახური, იგი კი მოკრძალებით მოგიყვებათ თავისი ბიოგრაფიის რამდენიმე ეპიზოდს, რომელიც შეიძლება ერთად შეკრათ და მიიღებთ მაძიებელი, მებრძოლი ქართველი ქალის სახეს.

დაამთავრა ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენტობის დროს თამაშობდა საქართველოს კალათბურთელ ქალთა ნაკრებში. დაოჯახდა, ჰყავს მეუღლე — ეკონომისტი ავთო ლაბაძე, ქალიშვილი — სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი მაიკო ლაბაძე და შვილიშვილი — ნიკუშა. მანანამ მუშაობა დაიწყო გლდანის რაიაღმასკომში საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტში. შემდეგ მუშაობდა მილიციის უმაღლესი სკოლის სამდივნოს უფროსად, იმავე თანამდებობაზე უშიშროების უმაღლეს სკოლაში.

შემდეგ სასაზღვრო ჯარებში მივიდა.

ქალი მესაზღვრე! ეს სიტყვები თითქმის უჩვეულოა ქართველი კაცის ცნობიერებისათვის, მაგრამ თუ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პირად შემადგენლობას გაეცნობით, მიხვდებით, რაოდენ დიდ საქმეს აკეთებენ ეს მწვანესამხრეებიანი ქალბატონები, ერთ-ერთი მათგანია მანანა ხვედელიძე, ვისაც აღიარებენ, აფასებენ, ვის აზრსაც ანგარიშს უწევენ.

მანანა ხვედელიძე ყველაფერს ასწრებს: ღამე გაათიოს დავალების შესრულებისას, რომელიც უთუოდ დილასისხამზე უნდა ჩაბარდეს, თეორიის შესაბამისი ლიტერატურა, პარლამენტში დროულად გაიგზავნოს კანონ-პროექტები, სადაც გათვალისწინებული იქნება ჩვენი ეროვნული ტრადიციები, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.

მისი მონაწილეობით მომზადდა კანონპროექტები სახელმწიფო საზღვრის შესახებ, სასაზღვრო ჯარების შესახებ, დებულების პროექტი დეპარტამენტის შესახებ.

მისი აზრით, საქართველოში სასაზღვრო მშენებლობა უნდა წარიმართოს მეცნიერულ საფუძველზე, ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე. ფაქტიურად ასეც ხდება — დეპარტამენტს იმ ქვეგანყოფილების საშუალებით, რომელსაც მანანა ხვედელიძე ხელმძღვანელობს, მჭიდრო ურთიერთობა აქვს დამყარებული მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებთან; დეპარტამენტთან მუდმივად თანამშრომლობენ პროფესორები დავით გეგეშიძე, ბერდო გოიშვილი, ალექსანდრე არაბული, არჩილ ჩხეიძე, დოცენტი გურამ შენგელია და სხვები.

და ყველაფრის მოთავე დიასახლისი აქ ქალბატონი მანანაა. მას შეუძლია დიდხანს და ფაქტებზე დაყრდნობით გესაუბროთ სახელმწიფო საზღვრის მშენებლობის ყველაზე ურთულეს პრობლემებზე. მიაჩნია, რომ სამხედრო პოლიტიკის რაღაც ორგანო უნდა იყოს ჩამოყალიბებული და უმთავრესი რაცაა, ვინც საზღვარზე დგება სასამსახუროდ, პირველ რიგში უნდა იყოს პატრიოტი, კულტურული და ღირსეული პიროვნება, რადგან საზღვარი ერთგვარი სახეა ქვეყნისა.

როგორც მისი განყოფილების უფროსი, მაიორი გელა ხუციშვილი ამბობს, მანანა ხვედელიძე იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც თვითონ ეძებს და პოულობს ყველაზე მნიშვნელოვანს და ყველაზე სასწრაფოს, რაც საქმეს სჭირდება. მისთვის არ არსებობს მისი და სხვისი საქმე, ყველაფერს, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებთან, დიდი ენთუზიაზმით უდგება. ამავე დროს უკომპრომისო და შეურიგებელია ყოველგვარი უკანონობის მიმართ. მასზე ხუმრობით ამბობენ: „მახვილი — ბასრი, ფარი — საიმედო“.

ასეთია იგი, მანანა ხვედელიძე.

**იულონ ტოლიაშვილი.**

# ეს ძლიერი და უტეხი სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იგი** გაზეთ „მესაზღვრის" რედაქციაში გავიცანი. მოვიდა, პატარა ინფორმაცია მოიტანა აფხაზეთზე, მაგიდაზე დაგვიტოვა და წავიდა. ამ რამდენიმე აბზაცში იდო უზარმაზარი ტკივილი, რომელსაც ვერავინ გაიგებს, თუ საკუთარი მხრებით არ ზიდე, თუ ყოველ ღამით არ გესიზმრება მიტოვებული, გაპარტახებული საცხოვრისი, რომელსაც მთელი სიცოცხლე უვლიდი, ალამაზებდი და ახლა მტერი დაჰპატრონებია.

ის, ნანი ლეკვეიშვილი ახლა აქ, თბილისში ცხოვრობს და სახელმწიფო დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში მუშაობს. ერთი შეხედვით არაფერს გაგრძნობინებთ, კეთილშობილი ღიმილი და ნათელი სახე აქვს, მაგრამ საკმარისია დააკვირდეთ და შემოგეფეთებათ დარდი, რომელიც მუდამ თან სდევს ამ მრავალჭირნახულ ქალს.



ნანი ლეკვეიშვილი

ჯერ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ — ჟურნალისტიკის. მუშაობდა სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ, სადაც იმუშავა 1992 წლამდე, აფხაზეთში ომის დაწყებამდე.

ეს ათი წელი ნანი ლეკვეიშვილის ბიოგრაფიას დააჩნდა წითელ ზოლად, დააჩნდა, რადგან ყველაზე მეტად ადგილობრივ პრესაში აისახება ის ტკივილი, ფარული ბრძოლა, ორენოვანი რაიონული გაზეთის რედაქციისათვის რომ არის დამახასიათებელი.

აი, რას გვიყვება ქალბატონი ნანი: „ოჩამჩირის მოამბეს" 1982 წელს „კომუნიზმისაკენ" ერქვა და აფხაზურ-ქართულ ენებზე გამოდიოდა. კოლექტივი ერთი შეხედვით ერთსულოვანი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ქართველები ვცდილობდით გაზეთს ქართული სული ჰქონოდა, აფხაზები კი — აფხაზური. ქართველებს არავინ გვყავდა მხარის დამჭერი, არც ადგილობრივ და არც ზედა ეშელონებში. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელს მაინც ვაკეთებდით.

გაზეთის გამოსვლის დღე ყოველთვის დაძაბული იყო ჩემთვის, რადგან შვილებთან ერთად მიწევდა მორიგეობა. სტამბის მუშები ქართულის მცოდნე აფხაზები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ გაზეთს დაეგვიანებინა, ჩავარდნილიყო. ეს იყო ხალხი ქართული გვარებით, მაგრამ იწერებოდნენ აფხაზებად, რადგან აფხაზობა მომგებიანი იყო: კარგი ბინა, კარგი სამსახური, აშკარა და დაუფარავი უპირატესობა.

რედაქციაში მუშაობის დროს სკოლასთანაც არ გამიწყვეტია კავშირი — პარალელურად ქართულ და რუსულ სკოლებში ვასწავლიდი ქართულ ენას. რუსულ სკოლაში, როგორც წესი, 80 პროცენტი ქართველი ბავშვები სწავლობდნენ. ისინი უხალისოდ ეუფლებოდნენ ქართულს, რად გვინდა, სად გამოგვადგებაო, მეუბნებოდნენ და ამის მოსმენა საშინელება იყო ჩემთვის. ვცდილობდი შემეყვარებინა, უკეთესად შემესწავლებინა მათთვის მშობლიური ენა და ლიტერატურა.

ერთი ასეთი ნიუანსიც — რუსულ სკოლაში საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიას, როგორც წესი, აფხაზები ასწავლიდნენ და საქართველოს ისტორიას აფხაზეთის ისტორიად ნათლავდნენ. ამაზე განათლების განყოფილებაში დიდი ბრძოლა გვქონდა, მაგრამ უშედეგოდ.

ომის დაწყებიდან ნანი სამხედრო კორესპოდენტად მუშაობდა. ყოველი დღე მისთვის დიდი ტკივილი, საშინელების ხილვა იყო. ეს არ იყო ომი, ამბობს ნანი, — ეს იყო დიდი ხაფანგი, სადაც აუცილებლად ქართველები უნდა მომწყვდეულიყვნენ. მას ბავშვები სამსახურში დაჰყავდა რათა „რაიმე" შემთხვევაში მასთან ყოფილიყვნენ. მერე ტაქტიკა შეცვალა — ერთი ბავშვი მეუღლეს მიჰყავდა, მეორე მას, მესამე სახლში რჩებოდა, რომ დაბომბვის შემთხვევაში ოჯახი მთლიანად არ ამოწყვეტილიყო.

არასოდეს დაავიწყდება 1993 წლის 2 ივლისი, როცა მტერმა ოჩამჩირის რაიონში დესანტი გადმოსხა — დახოცილი ბავშვები და ქალები, მუცელგაფატრული და თავმოჭრილი ქართველები, ეს იყო ღვთის რისხვა.

მაინც მუშაობდა, ყველაფერს აკეთებდა, მებრძოლებისათვის ოდნავ მაინც რომ შეემსუბუქებინა ბრძოლის ქარცეცხლის სიმძიმე — მოსწავლეები წინა ხაზზე კონცერტების ჩასატარებლად დაჰყავდა, დაჭრილების სანახავად, და დასახმარებლად მიდიოდა... გაიხსენეს 9 აპრილი, 26 მაისი... და იყო რწმენა.

იმ ავადსახსენებელ 29 სექტემბერს მორიგე იყო ნანი ლეკვეიშვილი, გაზეთს მოაწერა ხელი, ნაწილი დაიბეჭდა, ნაწილიც მეორე დღეს, დილით ადრე უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, აფხაზეთის ქართველობა საკუთარი კერიადან აჰყარეს და სამშობლოში, მშობლიურ მიწაზე ლტოლვილებად აქციეს.

მას შემდეგ დადის ნანი დარდით სავსე გულით, მადლიერია ყველასი, ვინც ამ დარდს უმსუბუქებს, ეხმარება. განსაკუთრებული სითბოთი ლაპარაკობს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთა მისამართით, ვინც სამუშაოდ მიიღო, გამოუყო ბინა და მის დიდ ოჯახს საშუალება მისცა, კერა არ ჩაექრო, მეუღლე სატყეო მეურნეობაში მუშაობს, ზრდიან ოთხ ვაჟიშვილს.

— ჩვენ დავბრუნდებით, — ამბობს ნანი და სჯერა, რომ ასეც იქნება, რადგან მასში ვერ ჩაკლეს ძლიერი და უტეხი სული.

**ქალდე ბურნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესაზღვრეთა მშვენება და სიამაყე



● ხათუნა ელიზბარაშვილი

დიახ, დღეს ვისაუბრებთ ქალებზე, რომლებიც სასაზღვრო ჯარებში მსახურობენ, ანუ.., უბრალოდ, მესაზღვრეები არიან.

მათ პროფესიონალიზმში ეჭვიც არავის ეპარება, სულერთია, სამხედრო ფორმა აცვიათ თუ არა, მაღალმთიან საზღვარზე დგანან თუ ბარის საგუშაგოზე. თუ ამას დაუწერელ კანონსაც დავუმატებთ — „მესაზღვრის ხიდიც მესაზღვრეაო", ყველაფერი ნათელი იქნება.

საგულისხმოა, თუკი სასიკეთო რამ დაეტყო საქართველოს სასაზღვრო ჯარებს, „ლომის წილი" ჩვენს მანდილოსნებსაც მიუძღვით. ხოლო ობივატელის ეჭვის გასაფანტავად შოთა რუსთაველის სტრიქონებს მოვიშველიებ — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია!".

ამჯერად სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და მის ქვედანაყოფებში დასაქმებული მანდილოსნები მყავს მხედველობაში, მაგრამ მათ სახელითა და გვარით არ მოვიხსენიებ, რადგან მე მათ ერთ მთლიანობაში წარმოგიდგენთ, ამავდროულად კი მებრძოლ ქართველ ქალს ისტორიული წარსულით გავიხსენებთ.

„სილამაზე გადაარჩენს სამყაროს", — წერდა გენიალური თ. დოსტოევსკი, მე კი რატომღაც მგონია, რომ სილამაზე საზღვრის სიმტკიცესაც დაიცავს.

ხუმრობა იქით იყოს და აბა, გავიხსენოთ, ჩვენი სამშობლოს ბედიც ხომ იმას ჰგავს, ვისი წილხვედრიც საქართველოა, წმინდა მარიამ ღვთისმშობელიც ხომ ყველაზე ტანჯული დედა იყო დედათა შორის და მაინც, ყველაზე ბედნიერი და თაყვანსაცემი.

ოდითგანვე მწარე სვე-ბედი დაჰყვა ჩვენს სამშობლოს, ვის არ გაუთელია ჩვენი მთა-ბარი, მაგრამ ქართველი ქალის, დედის შემწეობით კვლავ წამომდგარა ფერფლიდან.

გარდა იმისა, რომ ქალები სამშობლოს გმირებს უზრდიდნენ, თვითონაც იარაღით ხელში იცავდნენ მის თავისუფლებას და, რაც მთავარია, უდრეკ სულისკვეთებას აღვიძებდნენ ერში.

საქართველოს ისტორიულ წარსუ-



● ლალი ჭიმშერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლში საპატიო ადგილი უჭირავს სამ გმირ ქალს — წმინდა ნინოს, თამარ მეფეს და ქეთევან დედოფალს — წამებულს, რომელთა საგმირო საქმეებმა, მათმა თავდადებულმა მოღვაწეობამ, უდიდესი ამაგი დასდო ქართველი ხალხის სულიერ განმტკიცებას.

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ისტორიამ მრავლად შემოგვინახა უბრალო ქართველი ქალის სახელები, რომლებიც მამაკაცებს არ ჩამოუვარდებოდნენ ვაჟკაცობით. რა დაგვავიწყებს მათ სახელებს — თამარ ვაშლოვნელს, თინა წავკისელს, მაია წყნეთელს, მათზე არანაკლებ სახელოვანი ცხრა ძმა ხერხეულიძეების გამზრდელ დედას, რომლებიც, თურმე, ისე შეიჭრებოდნენ შუაგულ ბრძოლის ქარცეცხლში, „ვით მთიდან მოვარდნილი გრიგალი“.

იქნებ მათი თავი მამულს შინ უფრო ესაჭიროებოდა, აკვანთან, საკუთარ კერიასთან, მაგრამ გაჭირვების ჟამს, აბა სახლში გული როგორ გაუჩერდებოდათ! ქართველ მებრძოლებს, ვისი ზურგიც ჯერ არ ენახა მტერს, მეტი ჟინით ალავსებდა დიაცთა თავგანწირვა.

დღეს ჩვენს მანდილოსნებს ხმლით ხელში ბრძოლა და ყიჟინით მტრის ალყის გარღვევა აღარ უხდებათ. მათი ხმალი მათივე საქმიანობაა.

ჩვენი მესაზღვრე — მანდილოსნები ჯერჯერობით თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას დეპარტამენტში ასრულებენ. მათ შორის არიან მესაზღვრე — მომღერლები, მესაზღვრე — მოცეკვავეები, მესაზღვრე — მედიკოსები, რომელთაც თავიანთი საქმიანობით, ხელოვნების საერთო საქმეში მოკრძალებული წვლილი შეაქვთ. იმედია, ახლო მომავალში ვიხილავთ მესაზღვრე — სპორტსმენებსაც, რომელთა წარმატებები არა მარტო საქართველოს სასაზღვრო ჯარებს, არამედ სრულიად საქართველოსაც მოუტანს სახელსა და დიდებას.

მესაზღვრეთა მოკრძალებულ ფორმაში გამოწყობილი მოხდენილი ქართველი გოგონები, ჯერჯერობით აეროპორტ „თბილისში“ მორიგეობენ, ფორმაში გამოწყობილი ქართველი ქალი ჯერჯერობით იშვიათობაა. ჰოდა, გამოიყენეთ ეს პრიორიტეტი, ქალიშვილებო; მერწმუნეთ, ათასჯერ უფრო მომხიბვლელი და ლამაზები ხართ ფორმაში. ვისაც თქვენი სიმპათია აქვს და ვერ გადაუწყვეტია რა ილონოს, რამდენჯერმე პაემანზე ფორმით ეახლეთ, მთლად ღიმილად ნუ დაიფრქვევით, ზოგჯერ ჩვენებური „მესაზღვრული“ კოპშეკვრით გადახედეთ გულისსწორს და გარწმუნებთ, მალე მეუღლეს შეიძენთ!

რაც შეგეხებათ მანდილოსნებს, თუ ცოლქმრულ ურთიერთობაში ჩვენი მამაკაცების მიერ დარღვეულ ბალანსს მამაკაცების სასარგებლოდ არა მარტო გაათანაბრებთ, არამედ თქვენს სასარგებლოდაც გადასწევთ სასწორის პინას, მეუღლის მხრიდან უფრო მეტ ყურადღებას და სითბოს იგრძნობთ.

ჩვენც ნუ დაგვივიწყებთ, კოლეგამამაკაცებს; ო, რომ იცოდეთ, როგორ გვაკლია ხოლმე თქვენი ღიმილი, ორიოდე თბილი სიტყვა, განსაკუთრებით დაძაბულ დღეებში, რომელიც საკმაოდ ბევრია ჩვენს რთულ ცხოვრებაში. გახადეთ მშვენიერი ჩვენი ცხოვრება, რამეთუ თქვენზეა იგი დამოკიდებული. უპირველესად კი იყავით გმირი დედები, შვილის ლამაზად გამზრდელნი, რადგან განუმეორებელ ვაჟას უთქვამს: „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“.

**მანუჩარ დვალი,**
**უფროსი ლეიტენანტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**



● მარინა გვეტაძე

● ირმა ძოძუაშვილი





● თეა ანდრიაშვილი

# საზღვარს ჯანმრთელი ბიჭები სჭირდება



გულიკო ჩაფიძე

გახსოვთ, ალბათ, ლექსი ჩვენს სახელოვან მოჭადრაკე ქალებზე: ნონა, ნანა და მაია — სამი ქალი, სამაია. აქაც, ამ პატარა სამედიცინო კოლექტივშიც თავისი ნონა, ნანა და კიდევ... ნაირა, ლია და სხვები ჰყავთ.

აი, ქალბატონი ნონა დოლიძე, სამხედრო ჰოსპიტლის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი, სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი; მუშაობდა გადაუდებელი ქირურგიის ცენტრში; ცამეტი წელია აქ, სამხედრო ჰოსპიტალში მსახურობს, აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. სასაზღვრო ჯარებში მსახურობს მისი ვაჟიშვილი, რიგითი ლაშა თულაშვილი.

ჰოსპიტლის ხელმძღვანელები გვიყვებიან ერთ-ერთ განყოფილების უფროსზე, კაპიტან ნანა გოთონელიაზე, ნანა ხახუტაშვილზე, გვაცნობენ ფუნქციონალური კაბინეტის გამგეს ლია როგავას, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ბიოქიმიური ლაბორატორიის უფროსს ნაირა სალუქვაძეს და სხვებს.

ჰოსპიტლის ექიმები სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამედიცინო განყოფილების ხელმძღვანელობით ადგილებზე ატარებენ სამედიცინო შემოწმებებს, აუცილებელ დახმარებას და კონსულტაციებს უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას. ასე იყო სვანეთშიც, სადაც მესტიის რაიონის მცხოვრებთ გაუკეთეს ოპერაციები, დაუსვეს დიაგნოზი.

განყოფილებას კონსულტაციებს უწევს ცნობილი მკურნალი, ქალბატონი გულიკო ჩაფიძე. მისი რჩევა თუ აზრი მესაზღვრეთა მკურნალი ქალბატონებისათვის უსაზღვროდ ბევრს ნიშნავს.

ამიტომ მუშაობენ აქ მთელი გულმოდგინებით, საზღვარს სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი ვაჟკაცები რომ იცავდნენ.

**რუსუდან ლუდუშაური.**





ნონა დოლიძე



ნაირა ხალუქვაძე

# ოფიცერი ქალის ტვირთი



● ნონა კეთილაძე

კაპიტანი ნონა კეთილაძე ჩვეულებრივი ქართველი ქალია, სიკეთის მთესველი და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული. სამშობლოს სიყვარულს დედა უნერგავდა, სიკეთეს — მამიდა. მამაცობა და გამბედაობა მათგან შეიძინა.

იბრძოდა აფხაზეთში.

„ჩვენს თვალწინ მრავალი ბიჭი დაიღუპა, ომის კანონია ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ ისეთი სისასტიკე, როგორიც აფხაზებმა ქართველების მიმართ გამოიჩინეს, არც ერთ ომს არ ახსოვს. არ მიყვარს ლაჩარი და გულგატეხილი კაცები. კაცი გამბედავი და ვაჟკაცური შემართების უნდა იყოს.ჩვენ ომი ამ გულგატეხილობითაც წავაგეთ“.

აფხაზეთში მოულოდნელად წავიდა. სამსახურში მისული პოლკოვნიკმა გახოკიძემ გამოიძახა და გააცნო მინისტრის ბრძანება თავდაცვის სამინისტროს აპარატის მუშაკების ომში წასვლის შესახებ. ამ ომში უფრო კაცთმოყვარე გავხდი, ვიდრე იქამდე ვიყავი, — იხსენებს ქალბატონი ნონა, — დილით ბიჭებთან ერთად ჩაის ვსვამდი, საღამოთი კი ისინი მკვდრები მოჰყავდათ. ჩემი კარგი მეგობრები „ზარმაცა“ და „შურიკა“ აფხაზეთს გადაურჩნენ და ძმათა მკვლელ ომში კი დაიღუპნენ“.

იგი კინორეჟისორობაზე ოცნებობდა, ბავშვობიდანვე უყვარდა ხელოვნება. იყო სკოლის დრამატული წრის წამყვანი მსახიობი. საშუალო რომ დაამთავრა, ფსიქოლოგობა მოუნდა, მაგრამ შემთხვევამ 1985 წელს სამხედრო დაწესებულებაში მოიყვანა. სწორედ აქედან დაიწყო მისი სამხედრო კარიერა. პირველად დიდუბის კომისარიატში მუშაობდა, შემდეგ რესპუბლიკის კომისარიატში. მის სამხედრო პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ლევან შარაშენიძეს

თბილისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ეროვნულ გვარდიაში გადმოვიდა. 1992 წელს პირველი ქართველი ქალი იყო, რომელმაც მიიღო ოფიცრობა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში, მინისტრის აპარატურაში.

პიროვნებად, როგორც თვითონ თვლის, ომში ჩამოყალიბდა. „დავიბადე, ალბათ, ომის შემდეგ“. იგი სიკვდილს თვალებში უყურებდა, მაგრამ არ შეშინებულა, უკან არ დაუხევია. „არასდროს დამავიწყდება საშინელებანი. ეს არ იყო ბრძოლა მტრებს შორის, ეს იყო ძმათამკვლელი ომი“.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. ავირჩიეთ პრეზიდენტი, პარლამენტი, ქვეყანაში სტაბილიზაცია დამყარდა. საქართველო ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უბრუნდება მშვიდობიან რიტმს, ეკონომიურადაც ცოტათი მოვმჯობინდით, მაგრამ აფხაზეთი და სამაჩაბლო ჯერ კიდევ რჩება დიდ ტკივილად საქართველოსთვის. სასურველია მათი დაბრუნება მშვიდობიანად მოხერხდეს. მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა და სამშობლოს დასჭირდა, ნონა კვლავ ჩაიცვამს ჯარისკაცის ფარაჯას და დადგება ვაჟკაცების გვერდით.

კაპიტანი ნონა კეთილაძე ამჟამად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობს.

„—“ სასაზღვრო ჯარებში გენერალ თენგიზ ეპიტაშვილის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ მოვედი. ბატონმა თენგიზმა მაშინ თქვა: ყველაზე ძალიან გამიხარდა, როცა კაპიტნის წოდება მომცეს და სამხრეებზე ბლომად ვარსკვლავები დავიკარიო. მეც ასე გამიხარდა, კაპიტანი რომ გავხდი. უდიდეს პატივს ვცემ გენერალ ვალერი ჩხეიძეს. იგი არ არის პოპულისტური პიროვნება, უზომოდ შეყვარებულია თავის სამშობლოზე, თავის ხალხზე. მე მჯერა, მისი მცდელობით ქართველი თვითონ დაიცავს საკუთარ საზღვრებს, — გვითხრა ნონამ.

მას ბევრი ამხანაგი ჰყავს, მაგრამ, მისი აზრით, ადამიანს ერთი ან ორი მეგობარი უნდა ჰყავდეს. მისი განუყრელი მეგობარი, უფრო სწორედ ძმასავით გვერდში მდგომი ვიცე-პოლკოვნიკი სოსო კობეშავიძეა. „სოსო უზომოდ შეყვარებულია სამშობლოზე, ოჯახზე, მეგობრებზე. როცა რამის გაკეთება მინდა, ყოველთვის რჩევისათვის მას მივმართავ“.

ნონას ერთგული მეგობრები არიან სოფიკო, ქეთინო და მაიკო. სამივენი სამხედროები არიან. დეპარტამენტში მისვლიდანვე კარგად მიიღეს ბატონებმა ვაჟა კაციაშვილმა, გიორგი მელაშვილმა და სხვა ოფიცრებმა. ქალებიდან დაუმეგობრდა მანანა ხველელიძეს, ჯილდა მახათაძეს, თამარ მამუჩაშვილს, რიტა გოგავას, ირმა ძიძუაშვილს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნონა ხუმრობით თავს შინაბერას უწოდებს, ოჯახის შექმნაზე მაინც ფიქრობს. „ქალის უპირველესი მოვალეობა დედობაა. მით უმეტეს, ჩემთვის, რომელმაც ომი გამოვიარე და იქ დახოცილი ბიჭები ვნახე. უფლება არა მაქვს ოჯახი არ შევქმნა, მაგრამ ვინც მე მიყვარდა, არ ვყვარებივარ, ვისაც ვუყვარდი, არ მყვარებია, — იცინის ქალბატონი ნონა.

ნამდვილი სიყვარული კი ჯერ წინაა.

* * *

**ჯემალ ელოშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოთხრობას ქალთა რესპუბლიკური საბჭოსა და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე დაბეჭდვის რეკომენდაცია მიეცა

ნოდარ კეკელიძე

# საქორწინო ბეჭედი

ელისოს მთელი ღამე არ სძინებია. კოშმარულმა სიზმრებმა ქალს ძილი დაუფრთხო. შამფურივით ტრიალებდა საწოლში. მხოლოდ გამთენიისას ჩასთვლიმა. ჯერ იყო და დედამისი დაესიზმრა, ეფერებოდა, ეალერსებოდა. წასვლისას გააფრთხილა, ზურაბს მიმიხედე, არსად გაუშვაო და გაჰქრა. მერე საყვარელი მეუღლე წარმოუდგა თვალწინ, რომელიც ამ ოთხიოდე წლის უკან ავტოკატასტროფაში დაეღუპა. საოცარი სწორედ ის იყო, რომ მანაც დედამისივით გააფრთხილა, შვილზე თვალი გეჭიროს, ნურსად გაუშვებო.

„ღმერთო ჩემო, ეს რა დამესიზმრა!“ — პირჯვარი გადაიწერა ელისომ და იმ ოთახისაკენ გააპარა მზერა, სადაც მის შვილს, ზურაბს ეძინა. „მაინც სად აპირებს ჩემი შვილი გამგზავრებას? ან რატომ არ უნდა გავუშვა? ნუთუ რაიმე უბედურება მელის? უწინ დღე გამიქრეს!“

საუზმისას დედამ შვილს შეაპარა, სად აპირებ წასვლასო?

— ეს რა კითხვაა. დედა? — წყენით შეათვალიერა ზურაბმა დედამისი, — რას ჩქვია, სად ვაპირებ წასვლას, განა არ იცი, სადაც დავდივარ?

— ძალიან ცუდი სიზმარი ვნახე, შვილო! — მაგიდას მიუჯდა ელისო, პურის ნაჭერს კარაქი სქლად წაუსვა და შვილს გაუწოდა, — ფრთხილად იყავი დედა გენაცვალოს, ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო, ხომ გაგიგია? თვალები არ დაუბრმავო დედაშენს! იმ მთებს რომ აღარ ეშვები! მთელი ქვეყნის მთები და მწვერვალები გადაიარ-გადმოიარე, შენა გგონია, კოკა ყოველთვის წყალს მოიტანს?! კარგი, გეყოფა, შვილო, შეეშვი ამ მთა-გორებზე ხეტიალს!

— აღარც დავდივარ, — მიუგო ზურაბმა და ერთი ყლუპი ჩაი ძუნწად მოსვა, — ნუ ნერვიულობ, მაგისთვის აღდგა მცალია!

— რა ვქნა, შვილო, ეს სამიწე გული კი ცუდს რასმე მეუბნება და! იქ, დასავლეთში რაღა ამბავია, ხომ არაფერი გაგიგია?

— არ ვიცი დანამდვილებით! — თავი გადააქნია ზურაბმა, — ამბობენ, ისევ ბრძოლები მიმდინარეობსო. თუმცა ტელევიზორს ხომ უყურებ, დედა, მე რატომ მალაპარაკებ?

— ტელევიზორს კი ვუყურებ, მაგრამ საიმედოს არაფერს ამბობს, როგორც ამბობენ, იმ ომის დამთავრებას პირი არ უჩანს!

— შენ ნუ იდარდებ! — წამოდგა ზურაბი, — დაუმთავრებელი ამ ქვეყნად არაფერია, დედაჩემო. ყველაფერი იწყება და ყველაფერი მთავრდება! — წაიღიღინა ზურაბმა, დედას მიუახლოვდა, შუბლზე ეამბორა და უთხრა: — შენ მე ძალიან კარგად მიცნობ, თუ საჭირო იქნება, მეც წავალ, ჩემზე ნაკლები ბიჭები იბრძვიან?

— ჰოდა, მაგაზე მიკვდება გული,! — მკერდზე ჩამოაწყო ხელები ელისომ შვილს, — მე ვიცი შენი ამბავი, მოუსვენარი რომ ხარ. ახლა მე მკითხე, რა დღეში ვარ ჩავარდნილი, შენს მეტი არავინა მყავს, შვილო, ეს უნდა გაითვალისწინო, თუ გინდა, რომ ცოტა ხანს ვიცოცხლო! სხვა რომ არაფერი, დედისერთა ხარ, განა ამას არ გაუწევენ ანგარიშს?

— ზურაბ! — შემოესმა ზურაბს მეზობლის ხმა, — მოდიხარ თუ არა?

— წავედი, დედა, გოგა მეძახის! — აჩქარდა ზურაბი, კარი გამოაღო და გაუჩინარდა.

...ზურაბი სპეციალობით მშენებელია. საწარმოს ხელმძღვანელობს. საუკეთესო სპორტსმენიცაა. თუ საქართველოში კარგი მთასვლელი მოიძებნება, ერთ-ერთი ზურაბ მენაბდეც არის. უშიშარი, უდრეკი, გაბედული — რაც მთასვლელის დამახასიათებელი თვისებებია. ზურაბი სპორტის დამსახურებული ოსტატია.

ჰიმალაის მწვერვალისკენ სრულიად ახალი გზა გამოინახა, რაც მთასვლელთა მსოფლიო ისტორიაში ზურაბ მენაბდის გზად არის მიჩნეული...

— შენ რა, მართლა მიდიხარ ფრონტზე? — ჰკითხა გოგამ ზურაბს, როდესაც ისინი მანქანაში მოთავსდნენ.

— შენ საიდან გაიგე? — გაიკვირვა ზურაბმა.

— მთასვლელთა კლუბში მითხრეს, ესეა საქმეო!

— ჰო, ეგრეა, მაგრამ ჯერ საბოლოოდ მაინც არ არის გადაწყვეტილი. ამას წინათ თავდაცვის სამინისტროში გამომიძახეს, მთასვლელი გვჭირდებაო. პოლკის უღელტეხილზე გადაყვანა უნდათ!

— მერე? — შეაჩერდა გოგა, — დაჰყაბულდი?

— აბა რას ვიზამდი? — მხრები აიჩეჩა ზურაბმა, — ეგ არაფერი, შენ ეგა თქვი, დედაჩემს როგორ შევაპარო. დღეს უკვე წამიკითხა ნოტაციები. ჰმ, მაინც რა არის დედის გული, საოცარია პირდაპირ!

— შენც ნურაფერს ეტყვი, ვითომ მივლინებაში წახვედი!

— არა, ეგრე არ გამოვა, დედაჩემს ვერ დავუმალავ, უნდა იცოდეს. რა იცი, რა ხდება!

— შენ იცი, მე კი მითქვამს და!

ერთ დღესაც შინ ზურაბი სამხედრო ფორმით მოვიდა. ელისომ, შვილი რომ გვარდიელის ფორმაში იხილა, სასოწარკვეთილმა შეჰკივლა და მოწყვეტით დაეშვა სკამზე. ერთხანს იჯდა გაუნძრევლად და მის წინ მდგომ შვილს გაოგნებით მისჩერებოდა.

— რა არის, შვილო, ეს? — ხმის კანკალით იკითხა ელისომ, — ხომ ვამბობდი, ტყუილად კი არ მიგრძნობდა გული რაღაცას! იცოდი და არ მეუბნებოდი? დამღუპე, შვილო?

— კარგი ახლა, დედა! — მიეალერსა ზურაბი აცრემლებულ დედას, ვინც იქ მიდის, ყველა კი არ კვდება! მითუმეტეს, მე საბრძოლოდ არ მივდივარ, ჯარს უღელტეხილზე გადავიყვან და მოვბრუნდები!

— ვიცი, როგორც მობრუნდები! — უპეები ამოიმშრალა ელისომ, — კარგად გიცნობ, შვილო, რა ჯიუტიცა ხარ!

— ჰო, კარგი ახლა, — თავზე ხელი გადაუსვა ზურაბმა, — დატრიალდი და შენი შვილი ღირსეულად გაუშვი.

— ვაი, შენს დედას, შვილო, — ძლივს წამოიმართა ელისო, — რა გამაძლებინებს უშენოდ. სად მიხვალ, ბიჭო, სად? დედის ერთას გული სად გეწევა?

ზურაბი გასამგზავრებლად თადარიგს შეუდგა. ზურგჩანთაში აუცილებელი ნივთები ჩააწყო და დასამშვიდობებლად დედას მიუახლოვდა. ელისომ გულზე მიიხუტა შვილი და დიდხანს, ძალიან დიდხანს არ უშვებდა. ელისო ჩუმად, უხმოდ ტიროდა. საყვედურობდა, დედა არ გყვარებიაო. მერე ხელდახელ გამომცხვარი საგზალი, რაც ზურაბს უყვარდა, მოწიწებით ჩაულაგა ჩანთაში. ეზოს კარამდის მიჰყვა. მეტის უფლება არ მისცა შვილმა, ნუღარ გამომყვებიო.

ზურაბი წავიდა. ქუჩას ისე მიჰყვებოდა, თითქოს ქორწილში მიეჩქარებაო. ენერგიულად მიაბიჯებდა, პირზე ღიმგადაკრული. ისე ჩაუხვია ქვემოთ, უკან ერთხელაც არ მოუხედავს. იქ კი, ჭიშკართან, გულხელდაკრეფილი, გულმკვდარი, აცრემლებული დედა დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგა და თვალებადქცეული იმ გზას გაჰყურებდა, რომლითაც მისი ერთა წავიდა.

მას შემდეგ შვიდმა თვემ განვლო, რაც ზურაბი შინიდან წავიდა. არც წერილები მოდიოდა და არც არაფერი ისმოდა. მკვდარი იყო თუ ცოცხალი, ელისომ არ იცოდა. დღედაღამ კანკელთან მიმჯდარი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ჭიშკარს. იქნებ ფოსტალიონმა რაიმე საიმედო ამბავი მოიტანოსო. ან სასწაული მოხდეს და სრულიად მოულოდნელად, დედის გულის გასახარად, თავად ზურაბი გამოჩნდესო. თუმცა დღე დღეს მისდევდა და ღამე-ღამეს, მაგრამ არც წერილები მოდიოდა და არც ზურაბი გამოჩენილა.

ელისო გახდა, ჩამოილევენთა. ცრემლი აღარ უშრებოდა თვალზე. გოგა მისი ცოდვით აღარ იყო. ბოლო დროს ემალებოდა ქალს. დი-

ლით ადრე გადიოდა შინიდან და გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ. რით ენუგეშებინა, რით გაეხარებინა დედის გული, არ იცოდა. რამდენჯერმე გოგა თავდაცვის სამინისტროშიც კი იყო, იქნებ იქ მაინც რამე შევიტყოო, მაგრამ ამაოდ, არც იქ უთხრეს საიმედო. გამოსავალი კი არ ჩანდა. ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. გოგას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, ელისო დეიდა დარდს გადაჰყვებოდა. და აი, ერთ დღეს, გოგა ფოსტალიონს გადაეყარა, დაიმარტოხელა და თავისი ჩანაფიქრი გაანდო, მერე გაქეცილი კონვერტი გადასცა და უთხრა:

— არჩილ, თუ ძმა ხარ, იმ ქალს ადრე ნუ მოუსწრაფებ სიცოცხლეს. ხვალ ჩვენსას, ეზოში რომ შემოხვალ, ეს კონვერტი ამოიღე და ყველას გასაგონად დაიძახე, ზურაბის წერილია-თქო! ელისო დეიდა ცას ეწევა, თვითონაც მოისვენებს და მეც დასამალი აღარა მექნება რა!

ფოსტალიონმა წერილი არ ჩამოართვა, ნაღვლიანად შეათვალიერა გოგა და ამოოხვრით მიუგო:

— ეე, ჩემო გოგა, მაგაზე იოლი საქმე რა არის, მაგრამ ამ ოხერ ჩანთაში მესამე თვეა, ერთ უბედურებას დავათრევ და დღემდის ვერ გამიბედია სათქმელი. ახლა შენმა საქციელმა ბიძგი მომცა და იძულებული ვარ გითხრა ყველაფერი! — არჩილმა ჩანთაში ააფათურა ხელები.

— რა იყო, არჩილ? არ მითხრა ცუდი ამბავი, ბიჭო! — გაოგნდა გოგა და თვალებში ჩაჰხედა ფოსტალიონს. არჩილს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

როგორც იქნა, ჩანთიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო და გოგას გაუწოდა.

— აჰა. ძმაო. ამ ოხერ ცნობას სამი თვეა დავათრევ, ლამის არის გადავირიო კაცი! — ერთხანს შეყოვნდა არჩილი, ყელში რაღაც გაეჩხირა, მერე სული მოითქვა და განაგრძო, — აღარ გვყავს, ბიჭო, ჩვენი ზურაბი!

გოგას თითქოს მეხი დაეცაო, ტანში ისეთმა ჟრჟოლამ დაუარა. ქაღალდი გაჩქარებით ჩამოართვა, თვალისდახამხამებაში გადაიკითხა, მერე ნაკუწებად აქცია და შორს მოისროლა, თითქოს ამით სიკვდილს თვალები დაუბრმავაო.

— თუ ძმა ხარ, ეს წერილი იმ ქალს შეუტანე, დანარჩენი მე ვიცი! — სთხოვა გოგამ ფოსტალიონს.

მეორე დღეს ელისომ ქვეყანა შეჰყარა, ბიჭისაგან წერილი მივიღეო. მაღლა ასავსავებდა ფარატინა ქაღალდს და უკვე რამდენჯერმე წაკითხულს კიდევ კითხულობდა.

ერთ დღეს, გოგა, შინ დაბრუნებისას მეგობარს გადაეყარა, რომელიც ერთ-ერთ საავადმყოფოში დასტაქრად მუშაობდა. გოგას ერთმა აზრმა გაუნათა გონება და მყისვე მეგობარს გაანდო. იგი შეპირდა დახმარებას. დათქვეს შეხვედრის დრო. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც გოგამ ჩაიფიქრა. ახლა ელისოზე იყო დამოკიდებული, როგორ აღიქვამდა ამ მოულოდნელ სასიხარულო ამბავს. შინ მისულმა მაშინვე ზურაბის ბინისაკენ გააპარა მზერა — დეიდა ელისო კანკელს მიჯდომოდა და ნაღვლიანი თვალებით ჭიშკარს მისჩერებოდა.

— დეიდა ელისო! — ახძახა გოგამ, — იცი რა უნდა გახარო!

ელისო მაშინვე გარეთ გამოვარდა და გოგას გზად დაუხვდა.

— ხვალ მე და შენ საავადმყოფოში უნდა წავიდეთ!

— იქ ერთი დაჭრილი წევს თურმე, რომელსაც ზურაბთან ერთად მხარდამხარ უბრძოლია!

— ეგ რა მითხარი, შვილო! — გახალისდა ქალი, — იქნებ ახლა ჯობდეს წასვლა, ჰაა?

— ახლა არა, გვიანია და დაჭრილების შეწუხება არ ივარგებს! — მიუგო გოგამ.

როგორც იქნა, გათენდა. ელისო დილაუთენია წამოდგა და სამზადისს შეუდგა — გამოაცხო ხაჭაპურები, მრგვლად მოხარშა დედალი, მათლაფაში ნაჭრებად ჩააწყო და ნიორწყალი მოასხა. კიდევ რაღაც-რაღაცეები გაამზადა, ყველაფერი კალათაში ჩაალაგა და გოგასთან ერთად გზას გაუდგა.

გული ამოვარდნაზე ჰქონდა ელისოს, როდესაც ისინი მესამე სართულის მეშვიდე პალატას მიუახლოვდნენ. პალატაში ჯერ გოგა შევიდა, მერე ელისოც შეჰყვა.

გოგამ პალატას თვალი მოავლო და გრუზათმიანზე შეაჩერა მზერა.

— აგერ, ხედავ, ის ყმაწვილი გახლავს! — ანიშნა გადაბინტულ გვარდიელზე. გვარდიელმა რომ მისკენ მომავალი ქალი შენიშნა, საწოლში შეიშმუშნა, სახეზე ღიმილი აიკრა და ოდნავ წამოწევა სცადა, მაგრამ ფეხზე მწარედ გაჰკრა და გაყუჩდა. ელისომ კალათა საწოლთან მიდგა:

— იწექი, დედა, არ წამოდგე. — ელისო საწოლზე ჩამოუჯდა დაჭრილს და ხარბად შეათვალიერა, — შენ ხარ მერაბი?

ბიჭმა თავი დააქნია და წვერმოშვებულ სახეზე ხელი დაისვა.

— მითხარი შენს გახარებას, როგორ არის ჩემი ზურაბი?

— კარგად, ქალბატონო, ვეფხვივით იბრძვის! — თქვა გვარდიელმა და მზერა რატომღაც საწოლის თავთან მდგომ გოგასკენ გააპარა.

— ენაცვალოს დედა! — დაიშაქრა ელისო, — ჩემი შვილი სხვანაირი არც იქნებოდა! — შემდეგ შუბლი შეიკრა, თითქოს გაბრაზდაო და განაგრძო, — კი მაგრამ, წერილებს რატომ არ იწერება, რა უშლის ხელს? ხომ იცის, რომ მე აქ მისი წერილებით ვცოცხლობ!

— ნუ დაემდურებით, ქალბატონო! — უხერხულად ჩაეღიმა გვარდიელს, — წერილის წერის დრო, მართლაც რომ, არ არის; რას იზამთ, ომია, ალბათ, მალე დამთავრდება ეს წყეული, თქვენი ზურაბიც დაგიბრუნდებათ!

— დამიბრუნდება და მერე ნახეთ, რა პურმარილი გაჭამოთ! — ჩაილიმა ელისომ, კალათას წახწვდა, მუხლებზე გაიდო და სანოვაგის ამოლაგებას შეუდგა. პაწია მაგიდა საჭმელებით გაივსო. ჭამე, შვილო, ღმერთმა შეგარგოს, ვითომ ჩემს ზურაბს უჭამია!

ელისომ პალატაში მყოფი დაჭრილებიც მიიპატიჟა და ყველას სათითაოდ გაუმასპინძლდა. ნელ-ნელა შეექცეოდა მერაბი და თან ზურაბის ამბებს უყვებოდა დედას.

შუადღე იქნებოდა მოტანებული, როდესაც პალატაში ორი ქალი შემოვიდა. ერთი ხნიერი, ჭაღარაშერეული, მეორე — ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე. ხნიერი ქალი მერაბის დედა იყო, ახალგაზრდა — მერაბის საცოლე....

საშინლად მოუნდა ელისოს, მისი ზურაბიც იქ ყოფილიყო, მის ვაჟსაც ჰყოლოდა საცოლე, ასეთი კარგი, სიცოცხლით სავსე გოგო...

...ელისოს იმ დღის მერე ისეთი გუნება-განწყობილება დაეუფლა, თითქოს საკუთარი შვილი ჩამოსვლოდეს. ვიდრე არ გაწერეს მერაბი, საავადმყოფოს აღარ მოშორებია; მოვიდოდა, მერაბს კარგად დაანაყრებდა, შემდეგ მიუჯდებოდა გვერდით და სთხოვდა, ზურაბზე კიდევ რამე გეცოდინება და მომიყევიო. მერაბიც, ვინ იცის, მერამდენედ ჰყვებოდა ერთი და იმავე ამბავს. ენად გაიკრიფებოდა ბიჭი და რაც კი რამ მოადგებოდა პირზე, ყველაფერს გატაცებით უამბობდა. ელისო იცინოდა, პატარა ბავშვივით აღტაცებული, შვილის გმირული საქციელით გახარებული, გრძნობებს ველარ მალავდა და მთელი პალატის გასაგონად ხმამაღლა კისკისებდა.

გადიოდა დღეები. ერთ მშვენიერ დღეს მერაბს განუცხადეს ექიმებმა, სრულიად ჯანმრთელი ხარ და შეგიძლია, შინ წახვიდეო. მერაბმა ახალი ამბავი დეიდა ელისოს აუწყა, ასეა ჩემი საქმეო. ელისო უეცრად დანაღვლიანდა, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო;

— რატომ მოიწყინეთ, დეიდა ელისო? — შენიშნა მერაბმა, — შორს კი არ მივალ, აქვე, ანაგის ქუჩაზე ვცხოვრობ, როცა კი გენებოთ, მობრძანდით ხოლმე, ჩემი ოთახის კარები თქვენთვის მუდამ ღია იქნება!

გაწერის დღეს მერაბს საცოლემაც მოაკითხა. ელისომ გოგო შვილივით მიიკრა მკერდზე და მიეფერა.

— ბედნიერი გოგო იქნები, შვილო! — უთხრა ელისომ, — ასეთი კარგი საქმრო აგირჩევია, გაუფრთხილდით ერთმანეთს, ცხოვრება წინ გაქვთ და ეცადეთ, ნურასოდეს ატკენთ გულს ერთურთს! — მერე ელისომ თითიდან ბეჭედი წაიძრო, გოგოს გაუწოდა და უთხრა, — აი, ეს მცირედი საჩუქარი მიიღე ჩემგან, შვილო, ვითომ ჩემი ზურაბის საცოლესთვის მიჩუქნია. გთხოვ, უარს ნუ მეტყვი. ამაზე ძვირფასი მე არაფერი გამაჩნია. ეს საქორწინო ბეჭედი ჩემი სიყვარულის ნაწილია და ამ სიყვარულს თქვენ, ახალგაზრდებს გიძღვნით!

გოგო ბევრს უარობდა, მაგრამ ელისომ თავისი გაიტანა და თავჩაღუნულ, დამორცხვებულ, სახეალეწილ საპატარძლოს შუა თითზე თავად წამოაცვა საქორწინო ბეჭედი.

# * * * * მამისგან მემკვიდრეობად დაჰყვა...

მხატვარ ნელი კანდელაკის მოზრდილი სახელოსნოს ჭერს ფართო ერდო აქვს. სინათლე ჭავლებად ჩამოდის და თითოეულ ნახატს თავისებურ ელფერს ჰფენს. აქ მხატვართა გამოფენაა — მისი მეუღლის, ცნობილი მხატვრის გიგი კეშელავასი, ქალიშვილების — ნინოსი და თამარის, სიძეების (ერთი მხატვარია, მეორე — მოქანდაკე) და, რა თქმა უნდა, — თავად მისი. სახელოსნო იტევს უამრავ ნამუშევარს, კედლებზე თავისუფალ ადგილს ვერ ნახავთ, წყება-წყება აწყვია ტილოები... არის სივიწროვე და საოცარია, არის სიხალვათეც. ალბათ, სიმაღლიდან წამოსული სინათლე ქმნის ამ განწყობას, ალბათ — მასპინძლის სიცოცხლისსავსეობაც... და მამამისის ნიკოლოზ კანდელაკის საოცარი პორტრეტიც, ლომის სიზვიადით რომ იმზირება, აშკარად ვერდატეული ჩარჩოთა შებოჭილობაში. და ვის პორტრეტებს არ ნახავთ აქ — გალაკტიონის, ლეო ქიაჩელის, გოგლასი, ლადო გუდიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ირაკლი აბაშიძის, ფრიდონ ხალვაშის — ეს ჩვენი ცნობილების, ახლა — გენერლებისა და სხვათა პორტრეტები? ნატურმორტები, პეიზაჟები, პეიზაჟები ზღვის — უმშვენიერესი...



— თქვენ მარინისტიც ბრძანდებით?

— მე ყველაფერი ვარ, ჩემო კარგო, — იცინის ნელი კანდელაკი.

ნიკოლოზ კანდელაკზე, ქართული მონუმენტური ქანდაკების ფუძემდებელზე, საოცარ ამბებს იხსენებენ მისი შეგირდები, ახლა ცნობილი მოქანდაკეები, და არა მარტო ისინი... საოცრად კოლორიტული პიროვნება, ხასიათის ათასგვარი წახნაგებით, და როგორც ყველა ძალიან ნიჭიერი კაცი, ცოტა ახირებულიც, იმერელი გახლდათ და სიცოცხლის ბოლომდე შერჩა თურმე იმერული კილოკავი. მისი უჩვეულო „რიტომ“ „რატომის“ ნაცვლად, მისი „გამეიარე სახში“ და ა. შ. საოცრად შინაურულსა და კოლორიტულს ხდიდა მის საუბარს. ნიკოლოზ კანდელაკს საოცარი ცეკვა სცოდნია სკამიდან აუდგომლად და ამ ცეკვას „შამილს“ ეძახდა. ის ნელი მუსიკით, ლოცვით, იწყებოდა, მერე ტემპი თანდათან მა-



● ნელი კანდელაკი სახელოსნოში

ტულობდა და როდესაც აპოთეოზს მიაღწევდა, სახლი იწყებდა ზანზარსო, — იგონებს ჯუნა მიქატაძე. განუმეორებელი ყოფილა პლასტიკა ხელებისა, მხრებისა, სახის ნაკვთებისაც კი. მასში სული ცეკვავდა და ამ სულს დამორჩილებული ჰყავდა მისი უზარმაზარი სხეული. მისი შემოქმედების ძალაც სულიერი სახის შექმნაში გამოიხატებოდა. ძერწვითაც სულ თითებით ძერწავდა, იშვიათად იხმარდა იარაღს, თითებქვეშ უკეთ ვგრძნობ ფორმის სიმკვრივესა და სისავსესო. საოცრად არტისტული კაცი ყოფილა, გემოჩატანებული იუმორით დაჯილდოებული.

ალბათ მამისგან დაჰყვა მემკვიდრეობად ნელი კანდელაკს არტისტულობაც, იუმორის გრძნობაც და იშვიათი შრომისმოყვარეობაც. ენერგია, ძლიერი ენერგია გადმოსჩქეფს მისი შემოქმედებიდან, მისი საუბრიდან, მისი ქცევიდან. რამდენიმე საათს დავყავი სტუმრად ქალბატონ ნელისთან და საინტერესო მოგონებები მოვისმინე — თითქმის ნოველები, ჩანახატები. მხატვრულად იცის თხრობა, ოღონდ ქართულ-რუსულით და ეს თავისებურ ხიბლსაც კი მატებს. — მე ხომ დედა რუსი მყავს, რუსქართველა ვარ, ამიტომ და ამიტომ ვლაპარაკობ ასე, — ბოდიშობს იგი.

და ყვება, როგორ დაქორწინდა მამა გენერალ ჟუკოვსკის ქალიშვილზე. გენერლის ოჯახი, რუსეთის რევოლუციას გამოქცეული, თავშეფარებულა ქუთაისში. ნიკოლოზ კანდელაკი მაშინ თეთრი ჩოხით დაიარებოდა. უზარმაზარი, წითური, ძალიან ვაჟკაცური. დაინახა 18 წლის, პატარა ვარდისფერი გოგო ქუჩაში და უგზავნიდა მერე კალათებით საუკეთესო ხილსა და ვარდებს მის ოჯახს. ამ დარდიმანდული ჟესტით მოიგო მომავალი სიდედრის გული თურმე.

— დედას ქართული ბაბუამ ასწავლა, — ყვება ქალბატონი ნელი, — ბაბუამ თავისი ნებით დათმო მღვდლობა, მასწავლებლობდა და ასე ვთქვათ, დედას ქართულის მასწავლებელიც იყო. დედაჩემმა შესანიშნავად ისწავლა ქართული კერძებიც და ჩვენს ოჯახში, ქართული წესითა და რიგით,



სტუმარი არ შეწყვეტილა, სუფრა თითქმის ყოველთვის გაშლილი გვქონდაო“.

ვინ აღარ სტუმრობდა მერე მათ ოჯახს. მათი დიდი სახლი მცხეთის ქუჩაზე თითქმის ყველა იმდროინდელ გამოჩენილ ადამიანს მასპინძლობდა.

„მამა იყო ძალიან მშრომელი კაცი, მთელი დღეები თავდაუზოგავად ძერწავდა და მერე დაღლილი და თავისი საქმით კმაყოფილი, ფართოდ გაშლიდა ხელებს — აჰ, რა კარგია ცხოვრება, რა მშვენიერი, ახლა უნდა (ვ)ჭამოთ, გემრიელად უნდა ვჭამოთო, — და დაგვაბზრიალებდა შვილებს.

ძალიან მანებივრებდა მამა ბავშვობიდანვე. მჩუქნიდა უხვად საღებავებს, ფუნჯებს, ტილოებს, მაჩუქა უზარმაზარი მოლბერტი, საუკეთესო მხატვართა ალბომები. — შენ ნიჭი გაქვს, ნელი, უნდა ხატო ბევრი, ბევრი... მამამ მიმაჩვია შრომას, მამამ და ბებიამ, მამის დედამ. პატარაობისას ბებიასთან ვიზრდებოდი და იმერელი ქალის კვალობაზე, საქმესა და სამზარეულოს ამბებში კარგადაც გავიწაფე... მამა ძალიან თავმომწონეობდა ჩემი ნამუშევრებით და ძვირფას სტუმრებს გულმოდგინედ უჩვენებდა.

ერთხელ გალაკტიონმა ჩვენთან ყოფნისას მითხრა, — ნელი, მე როდის დამხატავო, — ოო, რარიგ გავიხარე... გადავწყვიტეთ, რომ გვემუშავა მწერალთა კავშირის სახლში, ბაღში გამავალ დერეფანში. ვხატავდით მე, ჩემი მომავალი მეუღლე და კიდევ ერთი მხატვარი. ოჯდა სავარძელში მოთმინებით, მალე, კი იღლებოდა. — არ დავლიოთ ლიმონათი? — იკითხავდა მორიდებით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უკვე წასვლა სურდა... გამოვიდა უმშვენიერესი პორტრეტი. თქვენ ვერ გრძნობთ მისი ნერვიული ხელის თრთოლვას? ხშირად ისვამდა წვერზე ხელს, ეს მერე შევამჩნიე, ერთ მშვენიერ დღეს და შევცვალე პორტრეტი (ადრე სავარძელზე ხელებდაყრდნობით იჯდა).

„სოსო გრიშაშვილს რომ ვხატავდი, რა თქმა უნდა, ისიც იღლებოდა. გასძახებდა ცოლს, ქეთო ჯაფარიძეს, — ქეთო, ქეთოო!



● ნელი და გალაკტიონი



● იოსებ გრიშაშვილი, ნელი და მისი მეუღლე გიგი



● ნელი გოგლა ლეონიძის პორტრეტზე მუშაობისას

მიმღერე რამე, თორემ მოვკვდი კაციო“.

და იხსენებს კვლავ ქალბატონი ნელი: „გიორგი ლეონიძის პორტრეტი, აი, ეს უზარმაზარი პორტრეტი, პატარძეულის ფონზე, ერთ თვეში შევქმენი საიუბილეოდ. დღე და ღამ ვმუშაობდი... გაუკვირდა გოგლას, — ესე მალე როგორ კაცოო“.

„...ერთხელ ნინო ჩიხლაძემ მითხრა, ლეო ქიაჩელი ძალიან ცუდად არის, ხომ არ დახატავდიო. ვესტუმრეთ სახლში. იწვა ბატონი ლეო, საამქვეყნო პირი არ უჩანდა. მოვიკითხე ძალიან მხიარულად, უნდა დაგხატოთ-მეთქი, შევაპარე. იუარა. — მე რა დასახატი ვარო. — რას ამბობთ, ძალიან მშვენივრად გამოიყურებით-მეთქი და ასე შემდეგ... ძლივს დავითანხმე. მივდიოდი ძალიან ხალისიანად და ჩემი განწყობა თავისებურად ახალისებდა ლეო ქიაჩელს. კაცი წამოვაყენე ფეხზე. — იცი, როგორ იპრანჭება შენს მოსვლამდე და როგორ გელოდებაო? — გამიმხილა რძალმა. ძალიან გამიხარდა. ხომ მივეხმარე ჩემებურად კაცს კარგად გახდომაში“...

მართლაც, ალბათ როგორ უხაროდა ლეო ქიაჩელს ლამაზი, სიცოცხლით სავსე მხატვარი გოგონას ყოველი მისვლა.

ქალბატონ ნელის კი ახლაც ატყვია, მიუხედავად ასაკისა, უჩვეულო სიხალისე და მე ეს ვუთხარი კიდეც გულწრფელად.

„— ძალიან მიყვარს სიცოცხლე, მინდა ბევრი, ბევრი ვხატო. ყოველდღე ვდგევარ მოლბერტთან საათობით, და როცა ვხატავ, ვგრძნობ, სიცოცხლე როგორ მიათკეცდება“.

და ქალბატონი ნელი სხვასაც აზიარებს მხატვრობის საიდუმლოებას. იგი სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელი კურსების დირექტორია, პარალელურად — თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა სახლის ხატვა-ფერწერის წრის პედაგოგი. — მესაზღვრეებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს, ასე ვთქვათ, მე მათ მხატვრად ვითვლები, — და მაჩვენებს გენერლებისა და მესაზღვრეების პორტრეტებს. საოცარი ხალხია, იციან კარგის დაფასება, მე კი მიყვარს, როცა მაფასებენ.

**მანანა ზარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალი და საერთაშორისო ურთიერთობები

# ჩადრში გახვეული ქალები თავს დაჩაგრულად არ გრძნობენ

საქართველოსა და ირანის ურთიერთობებს შორეულ წარსულში ჩაეყარა საფუძველი, მათ შორის, ოდითგანვე არსებობდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები, რაც დროთა განმავლობაში, ხშირად იცვლიდა სახეს ახლო აღმოსავლეთში არსებული კონკრეტული ისტორიული ვითარების მიხედვით; იყო მძიმე ბრძოლები და დაზავება, დაპირისპირება და დიპლომატიურ-კულტურული ურთიერთობები,კომპრომისები, როგორც ქართველ მეფე-მთავართა, ისე ირანის შაჰების მხრიდან. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოსა და ირანის ისტორია განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს რამდენიმე წელიწადია საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის კეთილმოსურნეობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე წარმატებით ვითარდება სრულიად ახლებური ურთიერთობები, რაც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-სამეცნიერო თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს.

სწორედ ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურება გახლავთ ქართველ მეცნიერთა დელეგაციის ამასწინდელი ვიზიტი ირანში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევით სამეცნიერო კონფერენციაში „ირან-საქართველოს 1 მრგვალი მაგიდა“ მონაწილეობის მისაღებად. მოგზაურობა ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღსავსე გამოდგა. ღამის თეირანი ათასფრად გაჩირაღდნებული და განათებული შემოგვეგება. 1975 წლიდან ირანის დედაქალაქი დღესდღეობით უზარმაზარი ქალაქია, 13 მილიონამდე მცხოვრებით. ირანის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე საოცარი სითბო, პატივისცემა და მზრუნველობა ვიგრძენით. რამდენადაც მე ერთადერთი ქალი ვიყავი კონფერენციაში მონაწილეთა შორის როგორც ირანის, ისე საქართველოს მხრიდან, მასპინძლებმა ეს გაითვალისწინეს და თეირანში ჩვენი ყოფნის განმავლობაში, ყველა ღონისძიებაზე ჩემს გვერდით იყო ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საერთაშორისო და პოლიტიკური ურთიერთობების კვლევითი ცენტრის თანამშრომელი, სიმპათიური ახალგაზრდა მანდილოსანი, რათა მე თავი უხერხულად არ მეგრძნო. პატარა დეტალია, მაგრამ სტუმრისადმი ყურადღების და მზრუნველობის გამოხატულებაა.

თვითონ კონფერენცია ეძღვნებოდა ირან-საქართველოს ურთიერთობებს წარსულსა და აწმყოში. ამ ურთიერთობათა მნიშვნელობას მსოფლიო გლობალურ პროცესებში. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეცნიერთა მოხსენებებმა დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურეს. სასიამოვნო ის ფაქტიც იყო, რომ კონფერენციას ესწრებოდა ფერეიდნელ ქართველთა ერთი ჯგუფი. ისინი სულ ჩვენს ირგვლივ ტრიალებდნენ, გვეკითხებოდნენ, გვეპატიჟებოდნენ ფერეიდუნ შაჰრში, (სადაც ისინი კომპაქტურად არიან ჩასახლებული) და უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩვენი დელეგაციის ირანში ვიზიტთან დაკავშირებით.

კონფერენციისაგან თავისუფალი დრო დაეთმო მაღალი დონის შეხვედრებსა და მიღებებს, ირანის უმდიდრესი სიძველეთსაცავებისა და მუზეუმების დათვალიერებას. ყველაფერი ძალზე საინტერესო იყო, მაგრამ თეირანის შემდეგ ისპაჰანში ნანახმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს არის ძველი, ულამაზესი, ნამდვილი, აღმოსავლური ქალაქი, რომელიც შაჰ აბას 1-მა სეფიანთა ირანის სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა 1598 წელს. აქედან დაიწყო მისი აყვავება, აღმშენებლობა და გალამაზება. ქალაქ-მუზეუმის არქიტექტურულ და ისტორიულ ძეგლთა შესახებ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ განთქმული სასტუმრო „შაჰ აბასი“, რომელშიც ჩვენ დაგვაბინავეს. თავის დროზე შაჰ აბასმა იგი ააგო როგორც ქარვასლა უცხოელი ვაჭრებისათვის, შემდეგ კი სასტუმროდ გადაკეთდა. მისი შიდა ნაწილი მთლიანად ფერადი მოზაიკებით, მარმარილოთი, ჭიქურით, უძვირფასესი ხალიჩებით, საქვეყნოდ ცნობილი სპარსული მინიატურებითაა დამშვენებული. კომპლექსი იმდენად ზღაპრულ სანახაობად აღიქმება, რომ სიტყვებით მისი აღწერა შეუძლებლად მიმაჩნია. ასევე მომხიბვლელია „ნაყშ-ე ჯაჰანი“ (სამყაროს სურათი) — უზარმაზარი მოედანი, რომელიც შემოფარგლულია შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობებით, დახურული ბაზრით, სადაც ხელმარჯვე ოსტატები თქვენს თვალწინ საოცარ შედევრებს ქმნიან, აბას 1-ის სასახლეები, რომელთა შორის უნდა გამოვყო „ჩეჰელ სოთუნი“ (ორმოცსვეტიანი სასახლე); ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი, ქრისტიანული (სომხურ-გრეგორიანული) ეკლესიები, რომლებიც ისფაჰანის სომეხთა უბანში — ჯულფაში მდებარეობს; მდინარე ზანდერუდზე აგებული ხიდები, რომლებიც ასევე ქალაქის კოლორიტს ქმნის. მათგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ყველაზე დიდი (სიგრძე 300 მეტრი, სიგანე 14 მეტრი), 33-თალიანი ალავერდი-ხანის ხიდი, ვფიქრობ, ეს სახელი კარგადაა ცნობილი ისტორიიდან ჩვენი მკითხველისათვის: ალავერდი-ხან უნდილაძე, შვილები იმამყული-ხანი და დაუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხანი, ასევე მათი შთამომავლები — სეფიანთა ირანის სამეფო კარზე დაწინაურებული ქართული საგვარეულო, რომელმაც თავისი ძლიერების ზენიტს შაჰ აბას 1-ის ზეობის დროს მიაღწია. შაჰ აბასმა 1600 წელს ბრძანება გასცა მდინარე ზანდერულზე ხიდის აგების თაობაზე, რაც თავის სახელოვან სარდალს ალავერდი-ხანს მიანდო, ამ უკანასკნელმა ბრწყინვალედ გაართვა თავი სამუშაოს. ამის დასტურია ის გარემოებაც, რომ ხიდს დღესდღეობით იმჟამინდელი იერი სრულად აქვს შენარჩუნებული. ეს არის ისფაჰანელთა თავშეყრის უსაყვარლესი ადგილი. საღამოობით ისინი ალავერდიხანის ხიდის ქვეშ მყუდრო ჩაიხანებს მიაშურებდნენ, ხიდზე სეირნობდნენ, მის თაღქვეშ მდინარის ნაპირთან გვიანობამდე ისხდნენ, ისვენებდნენ. ჩვენც დიდხანს ვისეირნეთ ალავერდი-ხანის ხიდზე, რომლის შესახებ ბევრი წამეკითხა და მსმენოდა, მაგრამ სულ სხვაა საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი: ვუყურებდი ხიდზე მიმომავალ ხალხს, ფიქრებით კი, ჩემდაუნებურად, ძალიან შორს — ოთხი საუკუნის წინ ნებსით თუ უნებლიეთ უცხო მხარეში გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებთან აღმოვჩნდი და ეს ფიქრები თან წამომყვა ირანიდან საქართველოში.

ორიოდე სიტყვით ირანელი ქალების შესახებ. 1978-79 წლებში ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ქალების როლი და დასაქმება საგრძნობლად გაიზარდა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ისინი არიან პარლამენტის, სხვადასხვა ასოციაციების წევრები, იზრდება ქალ პროდიუსერთა, მენეჯერთა, ბიზნესმენთა რიცხვი, ასევე წარმატებით მონაწილეობენ ისინი საერთაშორისო ისლამურ სპორტულ შეჯიბრებებში და სხვ. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო ათწლეულში იმატა ქალ პროფესორ-მასწავლებელთა, წამყვან მეცნიერთა რიცხვმა. მე პატივი მქონდა რამდენიმე მათგანს შევხვედროდი და გავსაუბრებოდი. თანამედროვე ირანელ ქალთა აკადემიურ, მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ირანში არსებული ქალთა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ვრცელი ნუსხა, რომლებიც ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. მათგან უმთავრესია პრეზიდენტის აპარატთან არსებული ქალთა საქმეების საბჭო, რომელიც კოორდინირებას უწევს სამთავრობო პოლიტიკის განვითარებას ქალის სტატუსის გაძლიერებაში და სხვა ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებას. ამასთანავე, იგი მზრუნველობას იჩენს ზოგადად მუსლიმ ქალთა მდგომარეობისადმი მსოფლიოში. აქვე შევნიშნავ, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც 1979 წ. იქნა მიღებული, სიმბოლურადაა განსაზღვრული ქალთა უფლებამოსილებანი და სახელმწიფოს ვალდებულებანი მათ მიმართ. ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული ნათლად მეტყველებს, რომ გარეშე თვალის მიერ ჩადრში გახვეულ ირანელ ქალთა ერთი შეხედვით, დაჩაგრულ მდგომარეობაში წარმოდგენა,ილუზიაა. ისინი წარმატებით სარგებლობენ საყოველთაოდ აღიარებული ყველა უფლებით, მაგრამ რასაკვირველია, ისლამის რელიგიური ნორმების გათვალისწინებით და დაცვით.

**ნანა გელაშვილი,**
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.**

## ტესტი

გაქვთ თუ არა იუმორის გრძნობა?

1. — ხშირად იცინით?
2. — ახერხებთ არასასიამოვნო სიტუაციიდან თავის დაღწევას?
3. — შეგიძლიათ მშვიდად წარმართოთ საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ამ საუბრით ნაწყენი და შეძრწუნებული ხართ?
4. — როდესაც გეუბნებიან, ქორწინება ყველაზე სულელური რამააო, ეჭვდებით ამაში?
5. — აგტეხიათ სიცილი (ან ხარხარი) მარტო მყოფს წიგნის კითხვის ან ტელევიზორის ყურების დროს?
6. — გიყვართ ანეგდოტების ან რაიმე ამბის მოყოლა იმისათვის, რომ მსმენელი გააცინოთ?
7. — როცა თქვენს წინაშე აშკარად ცრუობენ, ახერხებთ საუბრის გაგრძელებას ხუმრობით?
8. — დარწმუნებული ხართ, რომ იუმორის გრძნობა გაქვთ?

პასუხები:

თუ ექვს ან მეტ კითხვას უპასუხეთ „დიახ" — მაშინ ძალიან გაქვთ განვითარებული იუმორის გრძნობა, რაც დიდად გშველით იპოვოთ გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან.

თუ პასუხი „დიახ" მხოლოდ ოთხ კითხვაზეა გაცემული, თქვენ იუმორის გრძნობა არ გაგაჩნიათ და მოერიდეთ არასასიამოვნო საუბრებს, რადგან ისინი კარგს ვერაფერს მოგიტანენ. გახსოვდეთ: იუმორი და სიცილი ადამიანებს შველის მძიმე წუთებსა და კრიტიკულ სიტუაციაში.



## სიზმრისა

### წვიმა სიზმარში

სიზმრის მართვის ხელოვნებას დაეუფლა ძილის პრობლემების რუსი მკვლევარი-ფსიქოლოგი პეტრე მიროსლავლევი. მრავალწლიანი დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების შედეგად იგი მივიდა დასკვნამდე: თუ ძილის წინ რამდენიმე ხნის მანძილზე (სამი წუთიდან ნახევარ საათამდე) სასურველ სურათს გონებაში რამდენჯერმე წარმოიდგენთ, სიზმარშიც სწორედ მას ნახავთ, რაც 80 პროცენტით გაშორებთ თავიდან მძიმე კოშმარებს. არ არის გამორიცხული, რომ ჯანმრთელი ძილი და კარგი სიზმარი დამოკიდებული იყოს საწოლის მდებარეობაზე. თუ კოშმარები შემოგეჩვიათ, დრო და დრო ადგილი უცვალეთ საწოლს. მიროსლავლევი გირჩევთ ძილის წინ წარმოიდგინოთ, ვითომ ციდან თქვენს საწოლზე ოქროს ან თეთრი წვიმა მოდის. ეს ნერვულ სისტემას შესამჩნევად აწყნარებს და ხელს უწყობს საამურ სიზმრებში გადასვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი დღეების ქრონიკა

ძნელია გალაკტიონის ცოლობა, ალბათ,

მაინც:

მინდა რომ იგი ძალიან სიმპატიური, თბილი და ალერსიანი იყოს.

ქალი მეკითხება ვინა ვარ, რატომ მოვედი. მერე გასძახის.

— გალაკტიონ! შენთან არიან რედაქციიდან! კანკალით, მღელვარედ შევდივარ ღმერთკაცთან.

პატარა, ოთხკუთხა ოთახი... კარებიდანვე, ხელმარცხნივ უბრალო, დიდი კარადა და ცარდა, სადღაც იმავე კუთხეში ჩამოკიდებული. დიდი დივანი, ძველი, — ალბათ აქ წვება ბატონი გალაკტიონი.

ფანჯარა მარჯანიშვილის ქუჩაზე გადის. ფანჯარასთან, გვერდით, განიერი საწერი მაგიდა.

მაგიდაზე უამრავი ქაღალდი, რვეული, წიგნი. მოუწესრიგებლად დახვავებული. (ასეც უნდა ყოფილიყო, მე ხომ მოწესრიგებული, კორექტული „პოეტის“ ბინაზე არა ვარ?).

მახსოვს ორ ფეხზე შემდგარი დაფა. აი, ისეთი, განცხადებებს რომ გამოაკრავდნენ ხოლმე.

ამ დაფაზე რომელიღაც წიგნის ყდაა გაკრული: ყდა მთლად მწვანეა.

მწვანეზე წითელი მამალი.

რაში იყო საქმე?

მერე ამოვხსენი ჩემთვის:

გალაკტიონს ან ხასხასა ფერები მოწონდა, ანდა — რაღაცას აგონებდა ეს მინდორი და წითელი მამალი.

იქნებ ბავშვობას? სოფელს? დედას?

დაფაზე, რემენქტონზე გადაბეჭდილი გამკილავი ლექსები: („ფუნაგორებს“ რომ უწოდებენ). ალბათ, თვით გალაკტიონისაა ეს ლექსები (ალბათ კი არა — ასეა, მისია!) არ მახსოვს, ვის ეხებოდა ეს ლექსები. ერთი რომ კარლო კალაძეზე იყო, ეს ნამდვილად მახსოვს.



გალაკტიონს სათვალე უკეთია.

წრიალებს. ძებნის ლექსს და მიკითხავს.

მოკრძალებული ვერ ვბედავ ჩემი აღტაცება გამოვთქვა. ის მაინც ელის, მგონია. მაინც ვერ ვბედავ.

მადლობას ვუხდი. დიდ მადლობას.

ცოტახანს კიდევ მაჩერებს.

მეკითხება. ჩვენი ჟურნალის მხატვრის გვარს. მერე იწერს: გაიოზ ფოცხიშვილი.

ცდილობს რაღაცა ამიხსნას. იშმუშნება. მერე ხელშეკრულებას მაწერინებს (თუ თვითონ წერს?).

დიახ ხელშეკრულებას:

რომ იგი შეხვდება პიონერებს, მოსწავლეებს. ამის ორგანიზატორი იქნება ჟურნალი „პიონერი“. და მხატვრულად გააფორმებს ყველაფერს მხატვარი გაიოზ ფოცხიშვილი.

ხელს აწერს თვით გალაკტიონ ტაბიძე.

მე — ღლაპი, უსუსური პოეტი ნაზი კილასონია.

ხელშეკრულება ვერ ასრულდა.

დიდხანს ვინახავდი.

შემდეგ ნიკა აგიაშვილმა მთხოვა თავისი არქივისათვის... ახლაც იქ არის, რა თქმა უნდა! (არ უნდა დამეთმო, მე სულელს. უარი ვერ შევბედე ბატონ ნიკას!) 1980 წ. ახლა უკვე ჩემთანაა. სამწუხაროდ ფანქრითაა ნაწერი. ნ. კ.)

ერთმა ნაცნობმა მიამბო:

ზაფხულში ოჯახი წყნეთში წავიყვანე, ბინა დავიქირავეთო.

ერთხელ ადრე ამდგარა ეს კაცი და ტყეში წასულა. ხედავს, — ხეების ლაწალუწი ესმის. ხედავს — ვიღაც წვალებით მობობღავს კლდე-ღრეში, ხვნეშის. ავიდა, ავიდა, და ყველაზე მაღალ ბექობზე გადადგა. გალაკტიონი იყო თურმე. ოფლი წურწურით ჩამოსდის. ის მაღალი ბექობიც წვალებით დაიპყრო.

ერთხანს იდგა თურმე გაყუჩებული.

მერე ამომავალ მზეს შეჰყვირა:

— მზეო! მზეო!

და ისევ წვალებით დაეშვა დაბლა.

ამას რომ ჰყვებოდა ის ნაცნობი, სიცილით იჭაჭებოდა.

ღმერთო, რატომ არ დგას ყოველ კაცში ყოვლის გამგები პოეზია!

იმ წუთებში ის ნაცნობი ხომ მუხლებზე უნდა დაცემულიყო. შუახნის გალაკტიონის წინაშე, დაეკოცნა მისგან წვალებით ავლილი ბილიკები. ის კი... იმალებოდა და ისე აყურადებდა, ირონიით აყურადებდა — აცა, რას იზამს ეს შლეგი პოეტიო.

რამ დამავიწყა? ვინ მიამბო? ერთმა ლიტერატორთაგანმა:

სტუდენტობისას, სტიპენდიას რომ ავიღებდით, ლენინის ქუჩაზე.

---

პოეზია

დალილა ბედიანიძე

## ქალის ოხვრა

მივდიოდი და უცებ რა მოხდა —
ქუჩაში ქალმა ამოიოხრა.
უცნობმა ქალმა ამოიოხრა
და ვერ გავიგე, რატომ? რა მოხდა?
გავიარე და მომდევდა დიდხანს
უცნობი ქალის უცნობი ოხვრა.
ქალი წავიდა და ვერც კი მიხვდა,
რომ მისი ოხვრა სხვას გულში მოხვდა.
ბევრჯერ შევნიშნე, რომ უცაბედად
დასცდებათ ქალებს ოხვრა რძით სავსე...
მათ სულში მაშინ რა ხდება ნეტავ?
რატომ ოხრავენ ქალები ასე?

## მარინე

მოდი, ერთიც გამაცინე
და დღე ამატანინე,
ქურთის გოგო, ქურთის ცირა,
ჩემო კარგო მარინე!
ეჰ, მკათათვე მკის და ცელავს
უხვი, არა გოროზი,
ჭრელ-ჭრელი და ასფურცელა
შენი კაბის ბოლოსებრ!
ვლაპარაკობთ და დარდს ვშველით,
არც არაფერს ვართულებთ.
მე ქურთული მესმის შენი,
შენ კი — ჩემი ქართული,
რამდენ თამაშს ვითამაშებთ,
სანამ გავიზრდებოდეთ
და გავზრდიდეთ ჩვენ ჩვენს ბავშვებს,
ვით ბავშვობის მეგობრებს.
ქება შენი ნაწნავების
როგორ მომბეზრდებოდეს,
სანამ დავცილდებოდეთ და
სანამ გაფრინდებოდე!..
მოდი, ერთიც გამაცინე,
ეს დღეც ამატანინე,
ჩემო კარგო, ქურთის ცირა,
ეშხიანო მარინე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თუ ვერის რომელიღაც ქუჩაზე) ერთი დიდი ნაგვის ყუთი ვიცოდითო: მივიდოდით, ხელს ზემოდან დავურახუნებდით და ყუთის თავიც აიხდებოდა. ტერენტი გრანელი ამოჰყოფდა თავს და ფულს ვაძლევდით ხოლმეო.

მხოლოდ ვინ მიამბო, — აღარ მახსოვს.

26/XII

შოთა როყვამ, რატომღაც უამრავი ამბავი იცოდა გალაკტიონის შესახებ.

დიდიხნის წინათ.

დიდიხნის წინათ, — ჰყვებოდა ხოლმე ამაზე. მისი ნაამბობიდან: გალაკტიონს ეძინა. ცოლმა იდროვა და ფრჩხილებს აჭრიდა. რას შვრები, ქალო, თითებს მაჭრიო?!" — შესძახა გამოღვიძებულმა გალაკტიონმა.

ეს ალბათ გალაკტიონის მტერთაგან შეთხზული ანეგდოტია.

20 იანვარი. 1978 წელი

თოვს. სველი თოვლი თოვს.

მამის ნაყიდი პალტო მითბობს გაყინულ ბეჭებს. ის კი აქ აღარაა. მასაც ათოვს. სველი თოვლი.

14 აპრილი. 1978

უფალო! გმადლობ, რომ იხსენი საქართველო! დედავ ღვთისმშობელო! გმადლობ, რომ იხსენი შენი წილხვედრი საქართველოს ახალგაზრდობა!

გეთაყვანები!

17 აპრილი! (1978 წ. 17 აპრილი!)

გეთაყვანები წმინდა გიორგი. თაყვანით გიხდი მადლობას.

26 მაისი (პარასკევი)

შიმშილით ტუჩები მიფითრდება, მიშრება. სირცხვილია ამაზე წერა. მრცხვენია, რომ მე — მიწა მაინც თავისას ვითხოვ. მე კი არ მშია, — ჩემში ამ მიწას უნდა დანაყრება, ამ თიხას, უჩემოდ, უჩემსულოდ.

ეს ორი დღე, შაბათ-კვირა როგორ გავიტანოთ თავი. ხელფასამდე 5 დღეა დარჩენილი.

9 ივნისი. (1978 წ.)

არც პროლეტარი ვარ.

არც ლუმპენპროლეტარი. ალბათ მათხოვარი, რომელიც არ თხოულობს.

მდგომარეობა — საშინელებაა.

დავწერ თუ არ დავწერ რამეს, — სულერთია.

დედაჩემმა იცოდა, ცოტა ფული რომ გაუჩნდებოდა, აი, ეს მაქვს მაგრამ ამ ფულით რომელი ერთი ნახვრეტი ამოვავსოო. ნახვრეტი ბევრზე ბევრია.

მახსოვს პუშკინზე ფილმი „მეფე და პოეტი". იწუნებენ ახლა ამ ფილმს, არაფრად არ ვარგაო. ჰო მაგრამ სათაური? რად ღირს მარტო სათაური, აქ, ჩემთან!..

უკიდურესი

უკიდურესი

უკიდურესი.

შაბათს სოფელში მინდა დედასთან წავიდე. რით? აქ რა დავუტოვო ბავშვებს? გზაში ხომ მინდა ფული. რაღაცა ხომ უნდა წავიღო?

ხელფასი მხოლოდ ოთხშაბათს.

ღმერთო, ნუ მიწყენ!

ღმერთო, მიჯანმრთელე ბავშვები!

და ყველაფერ ამას ვწერ იმიტომ, რომ ეს აღარ განმეორდეს სხვა პოეტებთან, ჩემნაირებთან!

შენ, ვინც წაიკითხავ ამას, ოდესმე მაინც რომ წაიკითხავ, — იცოდე, თუ შეგეძლება ნულარ გაიმეორებ ამას ჩემნაირებთან, ნუ გასტანჯავ საშოვარზე ფიქრით, სიმშილით. ხომ შეიძლება ამან გაამოროტოს ადამიანი, შურიანი გახადოს, ანდა აჯანყოს! მე აჯანყების უფლება არ მაქვს, მარტოხელი ხომ არ ვარ? მარტო ჩემი თავი ხომ არ მაბარია?

მე იძულებული ვარ მხოლოდ ჩემს თავზე ვწერო. სხვაზე არაფერზე, არავისზე...

გამიგე ეს, მომავალო! თავისთავში ჩაკეტილს ნუ დამარქმევ, მომავალო! საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდეულს ნუ დამარქმევ!

16 ივნისი (1978)

საჭიროა გადახალისება. საჭიროა მორჩევა ფიზიკურად, სულიერად. ერთი სიტყვით, საჭიროა ნებისყოფა. მე კი ვილღები, ვიცი კარგი ჰაერი, მზა სუფრა, სისუფთავე და სიწყნარეა საჭირო. ვთქვათ, ძალიან კარგი დასასვენებელი სახლი, ან სანატორიუმი. მაგრამ, რითი?

> თვალსევდიანად მიყვავებს
> ჩემი პატრონი ბებერი,
> ჩვენ რომ იქ წილი ვიყარეთ,
> მე შემხვდა „შეუძლებელი".

მენატრება ზღვა. თუნდაც სოხუმის სანაპირო. ანაკლიაც. 8 თვეა, ლექსის სტრიქონი ვერ დავწერე. ეს ეტყობა საშინლად ჩემს „ბიუჯეტს".

ცხელა. ჰაერი შეკრულია. შეიძლება გაწვიმდეს, ისეა ჩახუთული. რედაქციაში ოთახის ფანჯარა გავაღე და ჩემმა საყვარელმა ჭადრებმა შემომხედეს. გაწვიმდეს, ძალიან მინდა. არის აპატია. სურვილი ძილის.

დასასრული.

დასაწყისი იხ. № 7-9, 10-12-1996 წ.



* * *

ჰოი, რამდენ ქალს ენატრება, თქვას სიტყვა „შვილო"!,
ჰოი, რამდენ ქალს ენატრება, რომ უთხრან „დედა!"
შვილი არა ჰყავს, მაგრამ მაინც დედობას ცდილობს...
ვინ უწყის უშვილოდ დარჩენილი ქალების სევდა!
ჰოი, რამდენ ქალს ენატრება, რომ შვილი ჰყავდეს!
რა მოლოდინი, რა ტკივილი მათ ერგოთ ბედად.
ღმერთო, შვილი რომ არ გყოლოდა, შეძლებდი ამდენს?
ღმერთო, უშველე ამ უშვილო ქალების სევდას!
ქვეყნად რამდენი სიხარული არსებობს, ღმერთო!
მაგრამ დედობას რა შეედრება?
მიეცი შვილი უშვილო ქალს, ო, ღმერთო, შეგთხოვ,
და დაულოცე ქალად ყოფნის ბედნიერება!

* * *

ცხოვრება თვალის ახელის შემდეგ —
როცა გაიგებ, ვინ ვინ ყოფილა...
თავს ნუ მოიკლავ! ეგ არ ღირს! შესდექ!
ისედაც წახვალ წუთისოფლიდან.
ცხოვრება თვალის ახელის შემდეგ
სულაც არ არის მძიმე და ძნელი,
აკრძალულ ვაშლებს თუ არ შეეხე
და საცდუნებლებს თუ გაუძელი.
ცხოვრება თვალის ახელის შემდეგ
თურმე ხანდახან კარგიც კი არი,
თუ არ მოგინდა, შეასკდე კედელს
და დარჩე კაცი — ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მართალს წინ რა დაუდგება!

ნიჭიერი პიანისტი, ვირტუოზი შემსრულებელი — მის დაკვრას ყოველთვის ახლავს რომანტიკული გზნება, უტყუარი ალღო, არტისტული ტემპერამენტი და უზადო გემოვნება. საშემსრულებლო პალიტრა — ურთულესი და მრავალფეროვანი, მძლავრი ინტელექტი, უნატიფესი ემოციურობა, მისი ჯადოსნური, საოცრად ელასტიური ხელები...

და მაინც, მასზე ცოტა იწერება. „ეს ეთერის ბრალია, მხოლოდ და მხოლოდ მისი. არ უყვარს ხმაური, ქება-დიდება“, — ამბობს დედა, ქალბატონი ივეტა ბახტაძე და ყოყმანობს, მესაუბროს თუ არა ეთერის შესახებ, „რა ვიცი, რომ არ მოეწონოს, მერე?!“

მაგრამ, მალე ეთერი ამერიკიდან ჩამოდის სტუმრად. აქ, მის ოჯახში, ჰაერიც დამუხტულია მისი მოლოდინით. დედას და დეიდას კი მონატრებულ ქალიშვილზე საუბარი ძალიანაც სიამოვნებთ.



**ქუდბედიანობა ეთქმის?** — მამა საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძეა. ბებიას, ზურაბის დედას, ალექსანდრა ბარათაშვილს, იშვიათი ხმის პატრონად იცნობდნენ. როცა ქალბატონი ალექსანდრა თავის ვაჟებთან — ზურაბთან და ჯემალთან (ჯემალ ანჯაფარიძე, ცნობილი რეჟისორი, სამწუხაროდ, შარშანწინ გარდაიცვალა) ერთად მღეროდა, მათ მოსმენას, თურმე, არაფერი სჯობდა.

დედის მხრიდან: ბებია ქალბატონი მარგარიტა 45 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის მე-9 მუსიკალურ სკოლაში. ძველებურად — დიდი პასუხისმგებლობით გამოზარდა თაობები. დედის კვალს გაჰყვნენ ქალიშვილებიც — ეთერის დედა — ივეტა და დეიდა — ქალბატონი ლარისა მე-3 და მე-9 მუსიკალური სკოლის პედაგოგები არიან და მუსიკალურ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. ერთი სიტყვით, ამ ოჯახში მუსიკით ცოცხლობენ.

და ეთერს გენეტიკურად გამოჰყვა ნიჭიერებაც, არტისტიზმიც, პედაგოგიური უნარიცა და დიდი ნებისყოფაც.

**ვუნდერკინდები ზოგჯერ ამართლებენ** — 6 თვისა იყო ეთერი, უკვე სწორი სმენით რომ ღიღინებდა, 9 თვისა „ვასილიოკს“ ცალი თითით უკრავდა, ხოლო 2 წლისა მოსმენილ ნაწარმოებს ორი ხელით ასრულებდა როიალზე.

ხელოვნების რთულ გზაზე პირველი ნაბიჯები დედის დახმარებით გადადგა. მისი პირველი პედაგოგი დედის მეგობარი, ქალბატონი მერი ჭავჭანიძე იყო. დედა და პედაგოგი ერთად ზრდიდნენ გოგონას და რადგან მეგობრებს ერთი სკოლა ჰქონდათ გავლილი, აღზრდაც ჰარმონიულად მიდიოდა. მეხუთე კლასიდან ეთერი მოსკოვში დაჰყავდათ პროფესორ ვერა გორნოსტაევასთან კონსულტაციებზე, რამაც დიდად განაპირობა ნიჭიერი გოგონას მომავალი.

დაამთავრა „ნიჭიერთა ათწლედი“. ის და ირმა სოხაძე კლასის წარჩინებულ მოსწავლეებად ითვლებოდნენ. რა მათემატიკოსები მეკარგებაო, — სერიოზულად წუხდა მათი მათემატიკის მასწავლებელი ვახტანგ მაღლაკელიძე. ეთერმა სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 წლისამ მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის მუსიკალურ კონკურსში და პირველი ადგილიც მოიპოვა. ამ კონკურსის შემდეგ გოგონა ჩაიკოვსკის V საერთაშორისო კონკურსზე მიიწვიეს. იგი იყო ყველაზე პატარა მონაწილე მსოფლიოში ყველაზე ძლიერი კონკურსისა. მეოთხე ადგილზე გავიდა და... უგამოცდოდ ჩარიცხეს მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ ვერა გორნოსტაევას კლასში (ეს იყო პირველი შემთხვევა ამ კონსერვატორიის ისტორიაში).

მეორე კურსის სტუდენტი მონრეალის საერთაშორისო კონკურსში გრან პრის იმსახურებს და იწყება ეთერის საგასტროლო მოღვაწეობა საზღვარგარეთის ქვეყნებში. სხვათაშორის, იგი იყო პირველი საბჭოთა პიანისტი, „დათბობის" შემდეგ რომ ეწვია ჩინეთს და იქ კონცერტები გამართა. დააჯილდოვეს „ხალხთა მეგობრობის ორდენითაც".

მოსკოვშივე დაამთავრა ასპირანტურაც და ეთერ ანჯაფარიძე, უკვე საქვეყნოდ აღიარებული პიანისტი, სამშობლოში დაგვიბრუნდა. ბატონმა სულხან ცინცაძემ თბილისის კონსერვატორიის პედაგოგად მიიწვია. პედაგოგობასთან ერთად აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობასაც ეწეოდა. კონცერტებით წარსდგა კოლმარის ფესტივალზე ქ. სტრასბურგში ვლადიმერ სპივაკოვის მიწვევით...

**ამერიკა, ამერიკა...** — ამერიკა ჩვენი პიანისტებისათვის ერთგვარ მუსიკალურ მექად იქცა. ეთერისთვისაც.

...ჩვენთან იყო ტკივილი, არეულ-დარეულობა, ძმათა ომი... ეთერი ამას უსაშველოდ განიცდიდა. ამერიკაში მეგობარმა, დირიჟორმა მარიოარა ტრაიფენმა მიიწვია. გაემგზავრა ნიუ-იორკში ცოტა ხნით დასთან ერთად (ეთერის და მარიანა ოკლეი ხელოვნებათმცოდნე გახლავთ). იქ კი სიურპრიზი ელოდა — თურმე რა პოპულარული და აღიარებული ყოფილა იქაურ მუსიკალურ წრეებში. ჩასვლისთანავე კონცერტების გამართვა შესთავაზეს „სტენვეი ჰოლში". კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. დარბაზის ადმინისტრაციამ პიანისტს ყოველწლიურად, რახმანინოვის დაბადების დღეს, კონცერტების გამართვა შესთავაზა.

ამერიკაში საკონცერტო მოღვაწეობას იურიდიული სტატუსი სჭირდებოდა. დიდი დამსახურების გამო მან ე. წ. მწვანე ბარათი „გრინ ქარდ" — ცხოვრების უფლება მიიღო, ხოლო ფირმა „სტენვეიმ" შეღავათიან ფასად დაუთმო როიალი.

კონცერტებს პედაგოგიური მოღვაწეობაც დაემატა — ეთერი ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალურ კოლეჯში მიიწვიეს პროფესორად.

ჯერ კიდევ მონრეალის კონკურსიდან იყო მოხიბლული ეთერის შესრულებით ცნობილი დირიჟორი ჯეიმს დე პრისტი. მან მიიწვია ეთერი ქ. პორტლენდში, სადაც თავისი ორკესტრი ჰყავს და კონცერტის დამთავრების შემდეგ, მსმენელის წინაშე განაცხადა, რომ არასოდეს მოუსმენია ჩაიკოვსკის პირველი კონცერტის ამგვარი შესრულება.

ქართველი პიანისტი ხშირად მართავს ე. წ. „მასტერ კლასის" გაკვეთილებს. ეს არის საკონსულტაციო-საჩვენებელი გაკვეთილები და მასთან მუსიკოსები სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოდიან რჩევის მისაღებად. ამერიკაშივე ჩაწერა ეთერმა 6 ლაზერული დისკი, რაც იქ არც ისე იოლია.

ნიუ-იორკში ახლახანს გაიხსნა პირველი ნიჭიერთა მუსიკალური სკოლა, რომლის დამფუძნებელიც გახლავთ ცნობილი კომპოზიტორის ოსკარ ფელცმანის ვაჟი — ვლადიმერ ფელცმანი. ამ სკოლის მუსიკალურ დირექტორად უამრავ კანდიდატურათა შორის ფელცმანმა ეთერი ამოირჩია.

სულ მალე ეთერს გასტროლები ელის მონაკოსა და საფრანგეთში.

**ჭორის გასაბათილებლად** — ამერიკაში გაიცნო ეთერმა ცნობილი ტენორი პლასიდო დომინგო. პლასიდომ ეთერი რეპეტიციებზე მიიწვია, აინტერესებდა ნიჭიერი შემოქმედის აზრი, მითუმეტეს, როცა შეიტყო, რომ ეთერის მამაც ცნობილი ტენორი იყო.

თბილისში გაიგეს, პლასიდომ და ეთერმა ერთმანეთი გაიცნესო. სხვა ღირსებებთან ერთად, გარეგნობითაც მშვენიერია ეთერი... მაშ, რატომ არ თხოვდება? — ჰოდა, პლასიდოს გააყოლეს.

**შინ, სულისმოთქმისას** — თურმე ეთერი საოცრად ენამახვილია (მამას გავსო, აღნიშნა ქალბატონმა ივეტამ), აქვს იმიტაციის ისეთი უნარი, ბევრ მსახიობს რომ შეშურდება. მისთვის დიდი სიამოვნებაა შინაურებთან ყოფნა და სამზარეულოში ფუსფუსი. ეხერხება ყველა საოჯახო საქმე — გაფუჭებული უთოს შეკეთებიდან ჭრა-კერვით დამთავრებული. კერვა კი დაიწყო ასე: ერთ მშვენიერ დღეს მექსიკიდან ჩამოტანილი ძვირფასი ქსოვილი ისე გაშალა პირდაპირ იატაკზე და ისე დაუწყო გამოჭრა, რომ გაოცებულმა და შეშფოთებულმა დედამ ხელის შეშლა ვერ მოასწრო. მშვენიერი კაბა კი გამოუვიდა. მას მერე ყველა საკონცერტო კაბას თავად იკერავს და ერთ ქალაქში ერთი და იმავე ჩაცმულობით არასოდეს გამოდის.

თუმცა არ იცავს რეცეპტის სიზუსტეს, მაინც გემრიელი ნამცხვარი გამოსდის, ინტერპრეტაციის უნარი აქაც დიდ როლს თამაშობს. ერთი სიტყვით, ნამდვილი საოცნებო ქალია. სამწუხარო კია, ოჯახის შექმნა რომ ვერ მოახერხა, თუმც ამის მცდელობა იყო, მაგრამ ძნელია ხელოვანის მეუღლეობა და ყველა ვერ უძლებს ამ გამოცდას. ახლა მისი საფიცარი პატარა დისშვილი დევიდ-ლეონარდი გახლავთ.

უამრავ ნაცნობ-მეგობართაგან ორი გამორჩეულად უყვარს: მხატვარი ნანა ზაღდავაძე და ირმა სოხაძე. ნანა იქ არის — ამერიკაში, შეძლებისდაგვარად ხვდებიან ერთმანეთს. აქ ჩამოვა ეთერი და, ის და ირმა ლაპარაკით გულს ველარ იჯერებენ. რა სჯობია შინ, შენს თბილ ქალაქში ყოფნას...

ეს წერილი როცა დაიბეჭდება, ეთერს თბილისი უკვე მოსტუმრებული ექნება და ამერიკაში იქნება გამგზავრებული.

რომ არ მოეწონოს ჩვენი წერილი?

ნამეტანი ქება-დიდება ხომ არ გამომივიდა? აკი, აღნიშნა ქალბატონმა ივეტამ, — ჩვენ კი ვიცით ეთერის ფასი, მაგრამ იგი ისეთი მკაცრია საკუთარი თავის მიმართ და ისეთი თავმდაბალი, ზედმეტი ყურადღება აღიზიანებსო.

მაგრამ მე ზედმეტი არაფერი მითქვამს. რაც იყო, ის დავწერე, მართალს წინ რა დაუდგება(?!)

**მანანა იმესაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უცხოეთში კი ბრწყინავენ, მაგრამ ჩვენ—რა?

**საყოფაცხოვრებო სამეჯლისო ცეკვებს დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი სათავეს იღებს საუკუნის დასაწყისიდან. მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, როდის ჩაეყარა საფუძველი სამეჯლისო (სპორტულ) ცეკვებს საქართველოში და ვინ არიან ხელოვნებისა და სპორტის ამ სახეობის დამფუძნებელნი.**

**ამ მიზნით ვეწვიეთ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სამეჯლისო ცეკვების სტუდიას „თელა", რომელიც აგერ უკვე 18 წელიწადია წარმატებით ფუნქციონირებს „მუშტაიდის" ბაღში და რომელსაც ხელმძღვანელობენ თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეები.**

**გაგვიმართლა. ჩვენი მისვლა დაემთხვა სტუდიის ხელმძღვანელის, თენგიზ გაჩეჩილაძის ჩამოსვლას ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ახლახან მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა სამეჯლისო ცეკვებში. მან ბევრი ფოტო და ვიდეო მასალა ჩამოიტანა.**



**— ბატონო, თენგიზ, როგორც ვიცით, სამეჯლისო ცეკვების ამ სახეობის ერთ-ერთ დამფუძნებლად საქართველოში თქვენ ითვლებით. სად და როდის დაიწყეთ?**

— 1969 წელს გორის ბამბეულის კომბინატის კულტურის სახლში ჩამოვაყალიბე სამეჯლისო ცეკვების წრე, პარალელურად ვსწავლიდი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მერე გადმოვედი თბილისში, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლში, შემდეგ იყო ამიერკავკასიის ოფიცერთა სახლი, რკინიგზელთა კულტურის სახლი და 1979 წლიდან სტუდია „თელა".

**— ქალბატონო ლარისა, თქვენ სტუდიის დირექტორი ბრძანდებით, როდის და სად გაიცანით მომავალი მეუღლე?**

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1973 წლიდან თენგიზის მოსწავლე ვიყავი. შემდეგ მან ამიყვანა პარტნიორად. ჩვენი საქმისადმი სიყვარული გადაიზარდა ურთიერთსიყვარულში და 1986 წელს შევუღლდით. ვზრდით ორ ვაჟს — გიორგისა და რატის. გვყავს მესამე შვილიც — შორენა. იგი თენგიზის უფროსი ქალიშვილია პირველი ქორწინებიდან. შორენა 6 წლიდან ჩემთან იყო, როგორც მოსწავლე და ამიტომ თამამად ვამბობ — ვარ სამი შვილის დედა.

ჩვენ მრავალი წყვილი გამოვზარდეთ. ჩვენი მოცეკვავეები იყვნენ საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები. ანსამბლი „თელა" გახლდათ საკავშირო კონკურსის ლაურეატი და ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

სამწუხაროდ, საყოველთაო გაჭირვების გამო ჩვენი აღზრდილები საზღვარგარეთ გარბიან, დაახლოებით 50 მოცეკვავე გავიდა და ახლა წარმატებით ასწავლიან ცეკვებს აშშ-ი, ისრაელში, გერმანიაში, საფრანგეთში, კვიპროსსა და საბერძნეთში.

**— ბატონო თენგიზ, გთხოვთ, გვიამბოთ თქვენს ქალიშვილსა და სიძეზე, რომლებიც ამჟამად ამერიკაში მუშაობენ და ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, იმათთან სტუმრობდით?**

— ჩემი სიძე, გოჩა ჩერტკოევი, მხატვრების ოჯახიდანაა, კარგად ხატავს და კერავს კიდეც. სტუდიაში ის 16 წლის მოვიდა. შორენა ამ დროს 11 წლის იყო. ისინი სიმაღლის მიხედვით შევარჩიე. შემდეგ ეს დაწყვილება შესანიშნავად შეესაბამებოდა ხუთ ცეკვას: ჩა-ჩა-ჩას, სამბას, რუმბას, პასადობლს და ჯაივს. გოჩა ცეკვის დროს ცეცხლი იყო, შორენა — კვამლი. ცეკვაში ათი წლის პარტნიორობამ ისინი ერთ არსებად აქცია. მათი ქორწინება სიყვარულის მხოლოდ ფორმალური დაგვირგვინება იყო.

ამ ხუთი წლის წინ, საქართველოში ცეკვა კი არა, ადამიანებს სიცილი შეეყინათ სახეზე. ყველა სფერო ქაოსმა მოიცვა, კულტურა ჩაკვდა და არავინ იცოდა, რა იქნებოდა ხვალ.

ჩემმა ქალიშვილმა და სიძემ გადაწყვიტეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლა, რადგანაც იქ მეგობრები ეპატიჟებოდნენ. ისინი ჩავიდნენ ტეხასის დედაქალაქ დალასში. პირველად ძალიან გაუჭირდათ. ერთოთახიან ბინაში, ორი წლის ბიჭუნას საწოლი რომ უყიდეს, თვითონ იატაკზე ეძინათ, თან ინგლისურს სწავლობდნენ. 1992 წლის ამერიკის ჩემპიონატში პირველად მიიღეს მონაწილეობა და მეშვიდე ადგილი დაიკავეს, ე. ი. საზოგადოების ყურადღება მიიქციეს. ჟიურის წევრები აღნიშნავდნენ, რომ ქართული დუეტი ბრწყინვალე და ძალზე სასიამოვნო იყო. წყვილმა მალე აიმაღლა კლასი და ქვეყნის ჩემპიონატების ექვსეულში შევიდა.

შეჯიბრებებზე კარგად რომ გამოიყურებოდე, დაუზარებლად და გულმოდგინედ უნდა ემზადებოდე. ამიტომ, როგორც წესი, შორენა და გოჩა დღის ორი საათიდან ოთხამდე ცეკვაში ვარჯიშობენ თავის სტუდია „ლევანს ლეინში", შემდეგ მუშაობენ მოწაფეებთან, ცეკვის მოყვარულებთან (მათ შორის ბევრი მილიონერი და მილიარდერია), საიდანაც ძირითადი შემოსავალი აქვთ (საათში 70 დოლარი თითოეულს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს გოჩა შორენასათვის ქმნის ახალ-ახალ კოსტიუმებს და მერე ორივე ერთად კერავს. ისინი 4-8 კვირაში ერთხელ სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობენ. დიდი შრომის შედეგია, რომ შორენა გაჩეჩილაძე და გოჩა ჩერტკოევი ამერიკის „ამომავალი ვარსკვლავების“ კლასში ამერიკის ათგზის ჩემპიონები არიან.

დღეს შორენა და გოჩა შეძლებულად ცხოვრობენ. აქვთ შესანიშნავი ბინა, ორი მანქანა, სადაც უნდათ იქ ისვენებენ და მოგზაურობენ. ახლახან დავბრუნდი იქიდან, მეგობარი მახლდა. მიუხედავად იმისა, რომ ვესწრებოდი ჩემპიონატს, მპატიჟებდნენ მაღალი კლასის რესტორნებში და სანახაობებზე, ერთი სული მქონდა თბილისში დაბრუნებამდე.

ბატონ თენგიზ გაჩეჩილაძესთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრობდა საქართველოში გახმაურებული სერიალის „ველური გულის“ ქართულ ენაზე გახმოვანების რეჟისორი ბატონი თენგიზ კოშკაძე (შორენასა და გოჩაზე დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად).

**— ბატონო თენგიზ (კოშკაძე), როგორ მოგეწონათ ტეხასის შტატი და რას იტყვით ჩვენს მოცეკვავეებზე?**

— მე ვნახე უპრობლემო ქვეყანა. შორენასა და გოჩას წარმატებებითა და ცხოვრებით ისე ვარ მოხიბლული, სიტყვები არ მყოფნის გადმოსაცემად. ერთი დეტალი, მილიონერმა მსახიობმა საღამოზე მიიწვია ჩემი მასპინძლები. გოჩამ სასწრაფოდ ხუთიათასდოლარიანი კაბა მოუტანა შორენას და მხოლოდ ერთი საღამოსათვის, თურმე მეორედ მისი ჩაცმა უხერხულია. მეტი რაღა გითხრათ, ისეთი ქვეყნიდან ჩასული კაცი, სადაც პენსია ათი ლარია, როგორ აღიქვამდა ამ ამბავს!

**— ბატონო თენგიზ (გაჩეჩილაძე), როგორ გესახებათ „თელას“ მომავალი?**

— მართალია, ჩვენი აღზრდილები საზღვარგარეთ გარბიან, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, კიდევ გავზრდით კარგ მოცეკვავეებს, რომლებიც ჩვენთან დარჩებიან. ამჟამად შესანიშნავი წყვილი გვყავს — დათო კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონები და თასის მფლობელები, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილეები.

ჩვენი სურვილია, მეტი ახალგაზრდა მოვიზიდოთ, სამეჯლისო (სპორტული) ცეკვები — ეს ხომ ქორეოგრაფიის საერთაშორისო „სალაპარაკო“ ენაა.

ესაუბრა **ირმა ჩოფიკაშვილი**

# სასარგებლო რჩევები

## ლაქების ამოყვანა

⊙ ხილის ახალი ლაქა ადვილად ამოდის თბილი წყლით, უფრო ძველი ლაქა კი ლიმონის მჟავის ხსნარით (1/3 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე) ან ძმრის ხსნარით (1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე). არ გამოიყენოთ საპონი! ამით ხილის ლაქა უფრო მდგრადი ხდება.

⊙ მელნის ლაქების ამოყვანა შეიძლება ლიმონის მჟავას ხსნარით. დამუშავების შემდეგ ქსოვილი აუცილებლად გამორეცხეთ თბილი წყლით. მოძველებული ლაქა გაწმინდეთ ოდნავ შემთბარი ძმრის მჟავათი (6%-იანი). მელნით დალაქავებული ადგილები რამდენჯერმე ჩაუშვით ხსნარში — ვიდრე მელნის ლაქა მთლიანად არ გაიხსნება, შემდეგ კი ამორეცხეთ თბილი წყლით და კარგად გაავლეთ.

⊙ ახალი მელნის ლაქები კარგად ამოდის თბილი ახალი რძით. მელნის ლაქები სწრაფად ქრება, თუ დასვრილ ადგილს რამოდენიმე წუთით ჩაუშვებთ მცირე რაოდენობის ცხელ რძეში. წითელი მელნის ლაქები გაქრება, თუ მას წაუსვამთ მდოგვს, დატოვებთ ერთი დღე და შემდეგ გარეცხავთ წყალში.

⊙ თუ წიგნის გვერდები დასვრილია მელნით, ლაქები დაასველეთ წყალბადის ზეჟანგით, წაუსვით ბამბის ტენიანი ტამპონით, შემდეგ ორივე მხრიდან დაუდეთ 2-3 ფენა გასაფილტრი ქაღალდი და დახურეთ წიგნი, „საშრობი“ ტენს შეიშრობს.

⊙ თუ იატაკის ხალიჩაზე შემთხვევით დაგექცათ მელანი, იმავე წუთს მოაყარეთ მარილი — იგი შეიწოვს მელანს.

⊙ მელნის ლაქების ამოყვანა ფეხსაცმლიდან, ჩანთიდან, ხელთათმანებიდან და ტყავის სხვა ნაკეთობიდან შეიძლება აგრეთვე მარილის დახმარებით. მარილის სქელი ფენა დააყარეთ ლაქას, ოდნავ დაასველეთ და ასე დატოვეთ ორი დღით. შემდეგ გაფერთხეთ მარილი, გაწმინდეთ ნივთი სკიპიდარში დასველებული ნაჭრით და გაწმინდეთ ხავერდით გაპრიალებამდე.

⊙ ჭვარტლის ლაქების ამოყვანა შეიძლება სკიპიდარში დასველებული ბამბის ტამპონით.

⊙ ბუზის „ნაკვალევს“ ამოიყვანთ ნიშადურის სპირტში დასველებული ტამპონის საშუალებით.

⊙ ჩაის ლაქების ამოყვანას შესძლებთ ნიშადურის სპირტისა (1/2 ჩაის კოვზი) და გლიცერინის (2 ჩაის კოვზი) ხსნარში დასველებული ტამპონით.

⊙ სტეარინისა და პარაფინის ლაქების ამოსაყვანად საკმარისია დასვრილი ადგილები გააუთოოთ ცხელი უთოთი გასაფილტრი ქაღალდის დახმარებით, რომელიც ორივე მხრიდან რამდენიმე ფენად უნდა დაედოს დასვრილ ადგილებს.

⊙ ხნის (ინა — თმის საღებავი) ლაქების ამოსაყვანად დასვრილი ადგილები 20 წუთით ჩაუშვით თანაბარი მოცულობისაგან შემდგარ ხსნარში: 3 %-იანი წყალბადის ზეჟანგი, 2 %-ნი ნიშადურის სპირტი და წყალი.

⊙ ფერადი ბამბეულის, სელის ან შალის ქსოვილიდან კვერცხის ლაქის ამოსაყვანად საჭიროა მას წაუსვათ შემთბარი გლიცერინი და დატოვოთ 15-20 წუთი, შემდეგ წაუსვით გლიცერინში დასველებული ნაჭერი და გარეცხეთ წყლით. თეთრი ფერის იგივე ქსოვილიდან კვერცხის ლაქა ამოყავთ ნიშადურის სპირტისა (1 წილი) და წყლის (10 წილი) ნარევით. ლაქა უნდა დაასველოთ ხსნარით, შემდეგ ხსნარით გაწმინდეთ და თუ საჭიროა, დამუშავებული ადგილი ამორეცხეთ.

⊙ თეთრი ბამბეულისა და სელის ქსოვილებიდან (თუ რეცხვის დროს არ გამოვიდა) სისხლის ძველი ლაქები ამოდის ნიშადურის სპირტის (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე) ან ბორაკის ხსნარით (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე). დარჩენილი ლაქები დამატებით გაწმინდეთ 50-60°-მდე შემთბარი წყალბადის ზეჟანგის ხსნარით. ლაქების გამოყვანის შემდეგ თეთრეული კარგად გარეცხეთ, წყალში ჩაუმატეთ ცოტა ძმარი.

შეკრიბეს **მარლენ აბაზიშვილმა** და **მზია გოგიშვილმა**.



მოგონებანი გარდასულ დღეთა

# გვიხმობენ

შემოდგომის ცივი ქარი სახლის კედლებს ულმობლად აწყდება. ყვითელ ფოთლებს ჰაერში აფრიალებს. გაძარცული, ხანგასული ხეები ორსართულიანი ხის ძველი ნაგებობის ერთგულ დარაჯებად დგანან. დროჟამმა თავისი წაიღო, მომხიბვლელ ეზო-გარემოს დაუკარგა იერი.

საჩხერეში ამ სახლკარის ბატონ-პატრონი სანდრო და ელისაბედ წერეთლები იყვნენ.

ელისაბედი ადრე დაქვრივდა. ზრდიდა სამ ვაჟიშვილს — მიშას, ლევანსა და პეტრეს. ავადმყოფი ქალიშვილი ბავშვობაში ხელიდან გამოეცალა. გულმოკლულმა დედამ ნათესავის ობოლი ბავშვები — და-ძმა, აღსაზრდელად შინ მოიყვანა. ბიჭუნა ადრე გარდაეცვალა. დარჩა პატარა სონია.

სონია წერეთელი-ავალიშვილისა მონაწილე გახდა ამ დიდებული ტრადიციული ოჯახის ყოველდღიურობისა. სონიამ შთამომავლობას ჩინებული ჩანაწერები დაუტოვა, რომელშიც ქველმოქმედი ქართული ოჯახის ცხოვრების საინტერესო ამბავია გადმოცემული.

ელისაბედ წერეთელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგი არტურ ლაისტი გიორგი წერეთელთან ერთად საჩხერეში სანდრო წერეთელს ეწვია. ლაისტი ელისაბედს ასე ახასიათებს:

„ეს გახლავთ მეტად სიმპათიური, სტუმართმოყვარე, ტიპიური ქართველი ქალი, რომლისას თავს იყრიდნენ მეზობლები — შეძლებულნიც და ღარიბნიც. როგორც მახსოვს, ელისაბედი მთელი საწერეთლოს სული და გული იყო და მართლაც, თავისი მიმზიდველი თვისებებით იგი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა ყველაზე“.

სონია იგონებს: ჩემს ბავშვობაში, როდესაც ჯერ კიდევ შინ მამეცადინებდნენ, მატარებელი იმ ხანად მხოლოდ დარკვეთამდე მოდიოდა. მგზავრები გზას საჩხერემდე ცხენებით, ხშირად ფეხითაც აგრძელებდნენ. ოცნებობდნენ რკინიგზის გაყვანაზე, მაგრამ სურვილი სურვილად რჩებოდა, სანამ ელისაბედმა ამ საქმეს ხელი არ მოჰკიდა, ერთ წელიწადში საჩხერის რკინიგზის სადგურში ორთქმავლის საყვირის ხმა გაისმა.

საჩხერეს ბევრი სოფელი აკრავს — სავანე, გორისა, არგვეთი, ჭალა. დარკვეთამდე საჩხერით გავლა უხდებოდათ. მდინარეზე ხიდი არ იყო.

ელისაბედი აკაკის მოეთათბირა. ქუთაისის გუბერნატორს — გენერალ სლოვოჩინსკის გააცნო მათი გასაჭირი. გუბერნატორი საჩხერეშიც ესტუმრა ელისაბედს. ხიდის მშენებლობა სწრაფად დაიწყო და კარგადაც დასრულდა.

# ტაძრის ზარები

სონია იგონებს: ჩემი დედობილის ზრუნვით საჩხერეში ორი სკოლა აშენდა. მანამდე კი ელისაბედმა თავისი ორსართულიანი სახლის პირველი სართული სკოლას უსასყიდლოდ დაუთმო.

ამ ქალბატონის დამსახურებაა საჩხერეში საავადმყოფოს გახსნაც.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ სხვა ენთუზიასტებთან ერთად საჩხერეში წმინდა ნინოს ეკლესია — სობოროს აშენება. განუწყვეტლივ რეკდნენ ტაძრის ზარები, შემდეგ კი საბჭოურმა წყობამ დაადუმა ტაძარი. მაგრამ დღეს უკვე სხვა ენთუზიასტებმა გაამთელეს გაბზარული კედლები, ჩამოშლილი ჩუქურთმები.

ფოსტა-ტელეგრაფიც ელისაბედის მცდელობით გაიხსნა. დიდი როლი შეასრულა საწერეთლომ საჩხერის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ნუცა ბაგრატიონი, ვარინკა წერეთელი, სხვა ღირსეული ქალები საქველმოქმედო საქმიანობაში ელისაბედს გვერდში ედგნენ.

საჩხერეში, ელისაბედის ოჯახში ერთი ოთახი აკაკისათვის იყო განკუთვნილი. აკაკის ძალზე უყვარდა ამ თბილ, მზრუნველ გარემოში ყოფნა. ელისაბედს ახალგაზრდა გალაკტიონი და ოლია ოკუჯავაც ეწვია. გალაკტიონი პეტერბურგში მიემგზავრებოდა და სტიპენდიის დანიშვნისათვის დახმარება თხოვა.

სანდრო კავსაძე ელისაბედის სახლში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასახმარებლად საქველმოქმედო საღამოებს მართავდა.

„სულიკოს“ უკვდავი მელოდიის ავტორი ვარინკა წერეთელი ზესტაფონში საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ედგა სათავეში. აკაკის საღამოებსაც [illegible] თავდა, მგოსანი მას ბულბულს ეძახდა.

1913 წლის სექტემბრის დამლევს, მოგვითხრობს სონია წერეთელი-ავალიშვილისა, ეზოში ეტლი გამოჩნდა. დიდი თუ პატარა მიეგება აკაკის, რომელიც მძიმედ ჩამოვიდა ეტლიდან. აკაკი მისთვის განკუთვნილი ოთახისაკენ გაემურა. ხელის ზურგს ისვამდა ოფლიან შუბლზე. საწოლში ჩაწვა. ბუხარში ცეცხლის დანთება ითხოვა, რაც უმალ შეუსრულეს. ეს იყო ელისაბედთან მისი უკანასკნელი სტუმრობა.

ელისაბედი დიდი მემამულე გახლდათ, მაგრამ მისი სახლის კარები ყველასათვის ღია იყო, მდიდარი იქნებოდა თუ ღარიბი.

ვინ მოთვლის, რამდენ ღარიბ-გაჭირვებულს დახმარებია, რამდენი გლეხის ქალი გაუზრდია, გაუმზითებგაუთხოვებია.

საბჭოთა წყობამ საწერეთლოსაც დარია ხელი. სახლ-კარი და ადგილ-მამულები ელისაბედსაც ჩამოართვეს. არ დაუტოვეს ერთი გოჯა მიწაც კი. ხელმოცარულნი თბილისს გამოემგზავრნენ. მოკრძალებულ ბინაში ენგელსის ქუჩაზე უფერულად განვლო დარჩენილი სიცოცხლე. და მაინც ძლიერმა ქალმა გაუძლო ქარტეხილებს, ხანგრძლივად იცოცხლა. 1942 წელს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იქ კი, საჩხერეში, ერთ-ერთი ქუჩა ელისაბედ წერეთლის სახელს ატარებს. კვლავ ძველებურად რეკავენ ტაძრის ზარები. უხმობენ ყველას — სიყვარულისათვის, ქვეყნის სიცოცხლის გადარჩენისათვის ილოცონ ქონგურებგამთელებულ ტაძარში.

ეთერ ჯაფარიძე

## ჯანმრთელობა

# სანამ ბავშვს წამალს მისცემთ

სასუნთქი სისტემის დაავადებები ყველაზე ხშირად სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გვხვდება. ისინი წლის განმავლობაში ოთხ-ხუთჯერ მაინც ავადდებიან პარაგრიპით, გრიპით, ანგინით, ბრონქიტებით...

უმეტეს შემთხვევაში მშობლები თვითმკურნალობას მიმართავენ, რაც ყოვლად დაუშვებელია. ავადმყოფი უნდა გასინჯოს ექიმმა, და დაუნიშნოს მინიმალური რაოდენობის წამალი, რომელიც მოკლე დროში მაქსიმალურ შედეგს გამოიღებს. სასურველია, ქიმიურ პრეპარატთან კომპლექსში მცენარეებით მკურნალობაც ანუ ფიტოთერაპია.

„ფიტოთერაპია“ მკურნალობის უძველესი მეთოდია, მას საფუძველი ჩაუყარა ქალმა — მედეამ.

როგორ მოვიქცეთ, თუ ბავშვი ავად გვყავს სასუნთქი სისტემის დაავადებით?

ექიმის დანიშნულებასთან ერთად, სასურველია, ბავშვს მივცეთ დიდი რაოდენობით სითხე, მსუბუქი, ვიტამინებით მდიდარი საკვები, ხილი, ბოსტნეულის ნახარში და ოჯახში დამზადებული მცენარის ნაყენი თუ ნახარში.

ნაყენი ასე მზადდება: ვიღებთ გარკვეული რაოდენობის გამხმარ მცენარეს, ვაქუცმაცებთ, ვასხამთ ადუღებულ წყალს, ვდგამთ წყლის ორთქლიან აბაზანაზე 30 წუთი, შემდეგ ვფილტრავთ.

ნახარშის მოსამზადებლად გამხმარ ბალახს ვასხამთ მდუღარე წყალს, ვადუღებთ 10-დან — 30 წუთამდე, შემდეგ ვაციებთ და ვფილტრავთ.

ახლა კი მოკლედ იმ მცენარეებზე, რომლებიც დადებით შედეგს გვაძლევენ სასუნთქი სისტემების დაავადებათა მკურნალობის დროს:

თავშავა — გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილები. მას აქვს ამოსახველებელი, ოფლმდენი, დამაწყნარებელი მოქმედება. ხმარობენ მწვავე და ქრონიკული ბრონქიტის, ყივანახველის, ეპილეფსიის სამკურნალოდ. მზადდება როგორც ნახარშის, ისე ნაყენის სახით. პროპორცია — 5 გრამ ნედლეულზე ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა წყალს და ვასმევთ 1 ღვინის ჭიქას — 4-ჯერ დღეში საკვების მიღებამდე.

ვირისტერფას — ვარგისი ნაწილებია: ფოთლები და ყვავილები. გამოირჩევა ანთების საწინააღმდეგო, ოფლმდენი, ამოსახველებელი მოქმედებით, ათხელებს და აჯირჯვებს ნახველს. გამოიყენება ზედა სასუნთქი გზების მწვავე ანთებადი დაავადებების დროს, ხოლო მისი ნედლი წვენი იხმარება ცხვირის დანამატი ღრუებისა და შუბლის წიაღის ანთებისას. ვაწვეთებთ 5—5 წვეთს თითოეულ ნესტოში 3-ჯერ დღეში.

დასალევად იხმარება ნახარშის სახით. პროპორცია: 5 გრამ ნედლეულზე 1 ჩაის ჭიქა წყალი. ინიშნება 1 სუფრის კოვზი 4-ჯერ დღეში (ჭამამდე).

ცაცხვის ყვავილებს აქვს ოფლმდენი, სიცხისდამწევი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. აძლიერებს შარდის გამოყოფას. ეფექტურია გაციების, ანგინის, ბრონქიტების დროს. ინიშნება ნახარშის სახით. პროპორციით — 20 გრამ ნედლეულზე 2 ჩაის ჭიქა წყალი. ისმევა 1 ღვინის ჭიქა 3-ჯერ დღეში.

ჟოლოს კენკრა, ფოთოლი და ღერო ხასიათდება ოფლმდენი, ანთების საწინააღმდეგო, სიცხისდამწევი მოქმედებით. მისი ფოთლები და ღეროები შეიცავენ დიდი რაოდენობით „C“ ვიტამინს. მზადდება ნახარში — 20 გრამ ნედლეულზე 1 ჩაის ჭიქა წყალი. ინიშნება 1 ღვინის ჭიქა 3-ჯერ დღეში.

მრავალძარღვას მიწისზედა ნაწილებს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ამოსახველებელი მოქმედება. ასევე აძლიერებს შარდის გამოყოფასაც. ხმარობენ ზემო სასუნთქი გზების დაავადებების, ფილტვების ანთების, ასევე საშარდე სისტემის დაავადებებისას. გამოიყენება როგორც ნახარშის, ისე ნედლი წვენის სახით.

კარგ შედეგს იძლევა ევკალიპტის ფოთლებისაგან დამზადებული ნაყენი, რომელიც იხმარება გრიპის, ანგინის, ზედა სასუნთქი გზების დაავადებისას. ამზადებენ ნაყენს 10 გრამ ნედლეულზე 1 ჩაის ჭიქა წყალი ინიშნება როგორც ცხვირში ჩასაწვეთებლად, ისე დასალევად 1 ღვინის ჭიქა 3-ჯერ დღეში.

რაც შეეხება ბავშვებში ძალზე გავრცელებულ სურდოს — ამ დროს სასურველია ცხვირში კალენდულას ფოთლების წვენის ჩაწვეთება — 2-2 წვეთი 3-ჯერ დღეში ან ნედლი ჭარხლის წვენი — ასევე 2-2 წვეთი 3-ჯერ დღეში.

ზედა სასუნთქი გზების ანთების დროს ხშირად იყენებენ რამდენიმე მცენარის კომბინაციით დამზადებულ ნახარშს, მაგალითად: გვირილის ყვავილი, ცაცხვის ყვავილი, ჟოლოს ფოთოლი, სამფერა იის ფოთოლი — თანაბარი რაოდენობით 30—30 გრამი — 1 ლიტრ წყალზე. ინიშნება დასალევად 1 ღვინის ჭიქა 4-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსია 8-დან 14 დღემდე.

შეგახსენებთ, რომ ქიმიური პრეპარატები ბავშვს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში მიეცემა და ისიც ექიმის დანიშნულებით.

დეა ნიჟარაძე,
ექიმი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია კულინარია

## კომბოსტო

მრავალრიცხოვან მცენარეულ პროდუქტს შორის კომბოსტოს, პურისა და კარტოფილის შემდეგ, მესამე ადგილი უჭირავს. მისგან დამზადებული კერძები მაღალი კვებითი ღირებულებით გამოირჩევა.

კომბოსტოს მოშენებას ადამიანები ძველი დროიდანვე ეწევიან, იყენებენ მას არა მარტო საკვებად, არამედ — სამკურნალო საშუალებადაც. ძველი დროის ექიმები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადამიანები, რომლებიც ჭამდნენ კომბოსტოს, ფიზიკური სიძლიერით გამოირჩეოდნენ და იშვიათად ხდებოდნენ ავად. პითაგორას მიაჩნდა, რომ კომბოსტო სულის სიმშვიდეს უნარჩუნებდა ადამიანს და მხნეობას მატებდა მას. გადმოცემის თანახმად, ალექსანდრე მაკედონელმა ბრძოლის წინ უბრძანა მეომრებს, ეჭამათ დიდი რაოდენობით კომბოსტო. ძველ ეგვიპტეში კომბოსტოს ჩაროზად მიიჩნევდნენ და სადილის შემდეგ დესერტად მიირთმევდნენ.

კომბოსტო — მინერალური მარილების უმდიდრესი წყაროა. იგი შეიცავს C, PP, V, ვიტამინებს და იოლად შესათვისებელ ნახშირწყლებს. კომბოსტოს ცილა სრულყოფილია ამინომჟაური შემადგენლობით. ბალანსირებული ქიმიური თვისებების წყალობით იგი შეუდარებელი დიეტური და სამკურნალო კვების პროდუქტია.

შაქრიანი კომბოსტოს წვენი კარგად მოქმედებს ხველების დროს, „შლის" ნახველს, აქვს ანტისეპტიკური და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება, თაფლიანი წვენი უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა ტუბერკულოზის დროს. კომბოსტოს წვენს სვამენ ნაწლავებისა და კუჭის დაავადებისას, ის კარგად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე. ყოველდღიურად 1 ლიტრი კომბოსტოს წვენი გამოიყენება ღვიძლის ციროზის დროს. წყლით გაზავებული წვენის ყელში გამოვლება შველის ანგინას.

კომბოსტოს ნახარში „პოდაგრის" დროს საუკეთესო შარდმდენი საშუალებაა. ახალ ფოთლებს იფენენ მტკივან სახსრებზე, სისხლჩაქცევებზე, ნახეთქებზე. რძეში მოხარშული ფოთლები კომბოსტოს დაჭრილ ხვიტთან არეული, გამოიყენება ხველი ეგზემის დროს.

### გთავაზობთ კომბოსტოსაგან დამზადებული რამდენიმე კერძის რეცეპტს:



### კომბოსტოს სალათი სტაფილოთი

მსხვილ სახეხზე გავხეხოთ კომბოსტო და სტაფილო. დავუმატოთ ძმარი, მარილი; ავურიოთ. მოვასხათ სოუსი და მოვრთოთ მწვანე ხახვით.

სოუსი: ზეთი, 1-2 სუფ. კოვზი მაიონეზი ან არაჟანი.

მასალა: 200 გრ. კომბოსტო, 200 გრ სტაფილო, 1 ჩ. კოვზი ძმარი, მარილი, მწვანე ხახვი.

### კომბოსტოს სალათა ვაშლით

კომბოსტო და ვაშლი გავხეხოთ მსხვილ სახეხზე. დავუმატოთ შაქარი, მარილი, დაჭრილი კამა და არაჟანი.

მასალა: 300 გრ კომბოსტო, 300 გრ მომჟავო-მოტკბო ვაშლი, 1/2 ჭიქა არაჟანი, კამა, შაქარი, მარილი.

### კომბოსტოს სალათა ტკბილი წიწაკით

კომბოსტო გავხეხოთ, ტკბილი წიწაკა დავჭრათ რგოლებად ან ზოლებად, ახალი კიტრი — კუბიკებად, პამიდორი — რგოლებად. ყველაფერი ავურიოთ მოხარშულ ბრინჯთან და ლორთან. მოვაყაროთ მარილი, დავუმატოთ მდოგვი. მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ხახვი, მწვანილი და მოვასხათ მაიონეზი.

მასალა: 200 გრ კომბოსტო, 200 გრ ტკბილი წიწაკა, 100 გრ. კიტრი, პამიდორი, ლორი. 75 გრ. მოხარშული ბრინჯი, 20 გრ ხახვი, 50 გრ მაიონეზი, 5 გრ მდოგვი, მარილი.

### კომბოსტოს სალათა ზეთითა და ძმრით

გახეხილ კომბოსტოს მოვაყაროთ მარილი და დავდგათ 30 წუთი. მოვათავსოთ ღრმა თასში, გადავავლოთ მდუღარე, დავახუროთ თავსახური და დავდგათ კიდევ 30 წთ. გავწუროთ. მოვასხათ ძმარი და ზეთი, შევაზავოთ დაფქვილი წიწაკით, დავუმატოთ დაჭრილი ახალი პამიდორი ან ვაშლი.

მასალა: 600 გრ კომბოსტო, 2 სუფ. კოვზი ზეთი და ძმარი, მარილი, წიწაკა.

### მოთუშული კომბოსტო

კომბოსტო დავჭრათ, მოვათავსოთ ქვაბში, დავუმატოთ 1 სუფ. კოვზი ცხიმი, 1/2 ლიტ. წყალი ან ხორცის ბულიონი, დავაფაროთ თავსახური და ვთუშოთ 40 წ., შემდეგ ჩავუმატოთ დაჭრილი, მოშუშული ხახვი, ტომატ-პიურე, ძმარი, შაქარი, მარილი, დაფნის ფოთოლი, წიწაკა და ვთუშოთ მზადყოფნამდე. როდესაც კომბოსტო მზად იქნება, დავუმატოთ ცხიმში მოშუშული ფქვილი და წამოვადუღოთ.

მასალა: 1 კგ კომბოსტო, 2 თავი ხახვი, 2 სუფ. კოვზი ტომატ-პიურე, 1 სუფ. კოვზი ძმარი, შაქარი და ფქვილი, 3 სუფ. კოვზი ცხიმი, მარილი, დაფნის ფოთოლი, წიწაკა.

### ქათმის სუპი კომბოსტოთი

ქათმის ხორცის პატარა ნაჭრები მოვხარშოთ 1,5 ლიტ. მარილწყალში. დავუმატოთ წითელი პამიდორი, წვრილად დაჭრილი კომბოსტო, მარცვლოვანი წიწაკა და ვხარშოთ მზადყოფნამდე. სუფრაზე მიტანისას მოვაყაროთ ბლომად ოხრახუში.

მასალა: 300 გრ. კომბოსტო, 400 გრ. ქათმის ხორცი, 200 გრ. პამიდორი, მარილი, მარცვლოვანი პილპილი, ოხრახუში.

### კომბოსტოს სუპი გერმანულად

მოვშუშოთ ხახვი კუბიკებად დაჭრილ შპიკთან ერთად, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი კომბოსტო და ცოტა მოგვიანებით — თევზის ფილე. დავასხათ მდუღარე წყალი და ვხარშოთ თავდახურული დაახლოებით 10 წთ. ნელ ცეცხლზე. ვუყოთ მარილი, ტომატპასტა და ბლომად მოვაყაროთ ოხრახუში.

მასალა: 1 თავი კომბოსტო, 40 გრ. შპიკი ან სხვა ცხიმი, 1 თავი ხახვი, 250 გრ. თევზის ფილე, 1,5 ლიტ. წყალი ან ბულიონი, 2 სუფ. კოვზი ტომატ-პასტა, მარილი, ოხრახუში.

# ყურადღება!!!

## ცხადდება კონკურსი

## ნომრის საუკეთესო ფოტომოდელზე!

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს თემაზე „ნომრის საუკეთესო ნორჩი ფოტომოდელი“. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 6-დან 17 წლამდე გოგონებს.

კონკურსის პირობების თანახმად წარმოსადგენი ფოტოსურათები უნდა დამზადდეს ჟურნალის რედაქციაში (ფასი ხელმისაწვდომია ყველასათვის).

რედაქცია იტოვებს ჟურნალში დასაბეჭდი ფოტოსურათის შერჩევის უფლებას.

გამარჯვებული ფოტოსურათები პერიოდულად გამოქვეყნდება ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე. მათ შორის საუკეთესო შესაძლოა გარეკანზეც.

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება მისამართზე: თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14, V სართული, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია. ტელეფონი: 99-98-71.

დანარჩენები სურვილის შემთხვევაში მიიღებენ ბავშვის მაღალმხატვრულ ფოტოს სასურველი რაოდენობით.

ნუ გაუშვებთ შანსს თქვენი შვილის ფოტომ გაიბრწყინოს რესპუბლიკის ქალთა უპირველესი ჟურნალის ფურცლებზე. იქნებ მასში მომავალი მსახიობი ან ფოტომოდელი აღმოაჩინონ!


## შოკოლადისფერი კანი წლის ნებისმიერ დროს —ეს რეალობაა!

## სალონი „ფერია“

სოლარიუმი, მანიკური, პედიკური, მოდური ვარცხნილობა, მასაჟი, ყურის გახვრეტა სპეციალური პისტოლეტით, პარფიუმერიის მაღაზია და ბარი.

*ჭავჭავაძის გამზირი 49 ა.*





რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71



მასალები გადაეცა ასაწყობად 17.10.96 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.02.97 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 600. შეკვ. 1165.

ინდექსი 7[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 1 ლარი